# ქართული მიწის ბარაქა — „მწვანე ოქრო" სამშობლოს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 172 (11783) | ოთხშაბათი, 27 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

## არ დავჯერდებით ვალდებულების შესრულებას
## იქნება 145 ათას ტონაზე მეტი მწვანე ნედლეული!
### —ამბობენ საქართველოს მეჩაიეები, ასე უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას.

„კომუნისტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მეჩაიეებისადმი.

საქართველოს რაიონების მშრომელებმა, — კოლმეურნეებმა, ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, ყველა მეჩაიემ ეს მიმართვა მიიღეს როგორც საბრძოლო მოწოდება ახალი საგმირო საქმეებისათვის ჩაის ფრონტზე. გუშინ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები და სახელდახელო მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა ამ მიმართვის განხილვას.

ქვემოთ დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ საქართველოს მეჩაიეთა ახალი შრომითი აღმავლობის შესახებ.



## იქნება 1000 ტონა ჩაი
### ვალდებულების გადამეტებით — კისრულობენ მახარაძელები

გუშინ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. თოიძეს, და სთხოვა ეცნობებინა იმის შესახებ, თუ რაიონის მშრომელები როგორ შეხვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი.

მან განაცხადა:

— ჩვენი რაიონის მეჩაიეებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვამ. გადავწყვიტეთ წინათ აღებულ ვალდებულების **დამატებით მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 1.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.**

## იქნება 800 ტონა ჩაი
### ვალდებულების გადამეტებით — კისრულობენ ქობულეთელები

ქობულეთის რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი.

დღეს, ჩაის კრეფის საკითხზე გაიმართა რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მიმართვის პასუხად გადაწყვიტეს: ადრე ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ უახლოეს დღეებში და ამას გარდა, **დამატებით მოკრიფონ 800 ტონა ჩაის ფოთოლი.**

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

## იქნება 500 ტონა ჩაი
### ვალდებულების გადამეტებით — კისრულობენ ლანჩხუთელები

**ბუშინ**, 26 ივლისს, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **დ. საბაშვილმა** „კომუნისტის" რედაქციას აცნობა:

რაიონის მეჩაიეთა და სპეციალისტთა შეკრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებას რაიონის მშრომელებისადმი და წერილს რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი. შეკრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვალდებულება, რომელიც 8.000 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს, გაანაღდონ ვადაზე ერთი თვით ადრე და დამატებით მოკრიფონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ქვემო აკეთის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ვალდებულების გადამეტებით მოკრიფოს 40 ტონა ჩაის ნედლეული, მამათის კოლმეურნეობამ—65 ტონა, აცანის კოლმეურნეობამ—55 ტონა. სოფელ ჯურყვეთის კოლმეურნეობის მეჩაიემ მარიამ მურვანიძემ წლიური გეგმა უკვე შეასრულა და ახალი ვალდებულებით იკისრა დამატებით მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაი, ელენე დობორჯგინიძემ — 800 კილოგრამი. ზემოაკეთელმა ცისანა ქანთარიამ უკვე მოკრიფა 4.100 კილოგრამი. იგი დღეში კრეფს 100-200 კილოგრამს და იბრძვის 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის.

### აჭარელმა მეჩაიეებმა კვლავ ისახელეს თავი

**ბათუმი.** (საკ. კორ.). აჭარის მეჩაიეებმა ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს მეჩაიეებისადმი. მათ ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულეს ჩაის კრეფის ივლისის გეგმა. სულ მოკრიფეს 19.124 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 81 პროცენტს შეადგენს.

## ყოველდღიურად — ოთხ ნორმაზე მეტი
### ტატიანა ტყებუჩავას ახალი რეკორდი

**ცხაკაია.** ოც წელზე მეტია მზრუნველად უვლის ჩაის პლანტაციას ტატიანა ტყებუჩავა. ამ ხნის მანძილზე ასობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა სამშობლოს. სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებაც თავდადებული შრომით მოიპოვა. მის საგმირო საქმეებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: **ტატიანამ 1955 წელს მოკრიფა 11 ტონა ჩაი, 1956 წელს — 12 ტონა, 1957 წელს — 11,9 ტონა, 1958 წელს — 12,6 ტონა, ხოლო 1959 წელს — 15 ტონაზე მეტი.**

ჩინელი თანამოსაქმე ჯან ცინ-ხე, რომელსაც ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში ტატიანა ეჯიბრება, ხშირად სწერს წერილს, სთხოვს აცნობოს, თუ როგორ მაჩვენებლებს აღწევს ჩაის პლანტაციის მოვლასა და კრეფაში, რა მეთოდებს იყენებს მოსავლიანობის გასადიდებლად.

ახლა ამ ნოვატორი მეჩაიეს მაგალითით მუშაობს კოლმეურნეობის 60 ახალგაზრდა. ესენი არიან: ე. კვირაია, ვ. ტყებუჩავა, ც. აფაქიძე და სხვები.

ისევე როგორც ყოველთვის, წელსაც ტატიანა ტყებუჩავამ თავი ისახელა ჩაის მოსავლიანობის გადიდებასა და კრეფაში. პლანტაციებში ჯარასავით ტრიალებს შრომისმოყვარე ამაგდარი ქალი. სწრაფად მუშაობენ მისი მარდი თითები, ჩაის კრეფაში რომ დაოსტატებულან. დღეს უფრო მეტ ჩაის კრეფს, ვიდრე გუშინ. 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან თექვსმეტი ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მიღებისათვის იბრძვის სახელოვანი მეჩაიე. იბრძვის და წარმატებასაც აღწევს. 25 ივლისისათვის მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 12.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დღეს 180 კილოგრამი ჩაი მოკრიფა და ჩაის კრეფის დღიური ნორმა შვიდმაგად შეასრულა. არის დღეები, როცა იგი ჩაის კრეფის სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს. 14 ივლისი მისი ცხოვრების ნათელ გზაზე აღინიშნა, როგორც ჩაის კრეფის სარეკორდო დღე. ამ დღეს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 435 კილოგრამი, მაშინ როცა ჩაის კრეფის დღიური ნორმა 25 კილოგრამს ითვალისწინებდა. ნამდვილი ზეიმი იყო ამ დღეს კოლმეურნეობაში. ულოცავდნენ თანასოფლელები. სამართლიანად ამაყობენ ქართველი მეჩაიეები ტატიანა ტყებუჩავას შრომითი წარმატებებით, ამაყობს ჩვენი სამშობლო ასეთი თავდადებული ადამიანებით.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეებმა, გუშინ რადიოთი მოისმინეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი. სიხარულით აღივსო მათი გული, როცა მოწინავე მეჩაიეთა რიცხვში თავიანთი თანასოფლელის ტატიანა ტყებუჩავას სახელიც მოისმინეს. სახელგანთქმულმა მეჩაიემ ტატიანა ტყებუჩავამ, მოისმინა რა ეს მიმართვა, თქვა:

— აგვისტოს მეორე ნახევარში გადაჭარბებით შევასრულებ ნაკისრ ვალდებულებას და ქვეყანას მივცემ 16 ტონაზე მეტ ჩაის.

ეჭვი არ არის, რომ ნაკისრ ვალდებულებას ის პირნათლად შეასრულებს.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.



შენიშვნა: ენერგიული და მუყაითი შრომაა გაჩაღებული ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში. სურათებზე: ზემოთ — ჩაის ფოთლის კრეფა ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში; ქვემოთ — წარჩინებული მეჩაიე ტატიანა ტყებუჩავა.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## იქნება 500 ტონა ჩაი
### ვალდებულების გადამეტებით — კისრულობენ გალელები

**გალის** რაიონის მეჩაიეებმა ახალი სიხარული განიცადეს, როცა გაეცნენ გუშინ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი.

— ამჟამად, — განაცხადა საუბარში პარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ხ. ტუფურიამ**, — რაიონის მეჩაიეები უფრო ენერგიულად შრომობენ, საქმით უპასუხებენ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წერილს, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს მეჩაიეთა შრომას და მოუწოდებს ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისაკენ. რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება წელს მოკრიფონ 12.200 ტონა ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ეს ვალდებულება 5 სექტემბრისათვის შეასრულონ და სეზონში ვალდებულების გადამეტებით მისცენ სამშობლოს 500 ტონამდე ჩაის ნედლეული.

კოლმეურნეობებში გაიმართა აღნიშნული წერილის განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგები. ყველგან დიდი შრომითი აღმავლობაა. სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს ვალდებულების გადამეტებით წელს მოკრიფონ 100 ტონა ჩაი, თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაც 100 ტონას მოკრეფს ვალდებულების გადამეტებით, ხოლო სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „საქართველო"— 70 ტონას.

### ზუგდიდელთა ვალდებულება

**ზუგდიდის** რაიონში მეჩაიეები გულდასმით ეცნობიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი. ამ წერილის პასუხად კოლმეურნეობები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს 19.000 ტონის მოკრეფას, ვადაზე ადრე შეასრულონ და დამატებით მისცენ სამშობლოს 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

### მის აღმატებულებას
## ბატონ ფიდელ კასტრო რუსს,
### კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ქალაქი ჰავანა

ნება მიბოძეთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, გულითადად მოგილოცოთ თქვენ და თავისუფლებისმოყვარე კუბის ხალხს რევოლუციური დღესასწაული — 26 ივლისის დღე.

შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა შვიდი წლის წინათ ამ დღეს დაიწყეთ უცხოეთის იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ და შინაური რეაქციის წინააღმდეგ, გახდა სახალხო რევოლუციის დასაწყისი კუბაში. კუბელმა ხალხმა გაბედულად აღმართა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშა, განდევნა უცხოეთის კაპიტალის აგენტი ბატისტა და გამოაცხადა თავისი უფლება იყოს თავისუფალი და თვითონ განაგებდეს თავის შრომის ნაყოფს.

საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულით მიესალმა დამოუკიდებელი კუბის სახელმწიფოს შექმნას და ღრმა სიმპათიის გრძნობით ადევნებს თვალყურს იმ შეუდრეკელ სიმტკიცეს, რომელსაც კუბელი ხალხი იჩენს, რათა დაიცვას კუბის რევოლუციის მიღწევები. თქვენი თავდადებული ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და ღირსებისათვის იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში გაყენებთ თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს სამშობლოს.

კუბის რევოლუციამ ახალი წინამძღვრები შექმნა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაჩაღებისათვის. გმირი კუბის საქმე, რომელიც განუხრელად ახორციელებს ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას, დღეს გახდა ლათინური ამერიკის მთელი პროგრესული ძალების დროშა, რომლებიც ირაზმებიან იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეები, რომლებიც ათეულ წლობით ძარცვავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ კუბას, ახლა ცდილობენ ეკონომიური ბლოკადის, ინტერვენციის მომზადებისა და ძალადობის სხვა მეთოდების გზით ჩაახშონ კუბის რევოლუცია და წაართვან კუბელ ხალხს ის მონაპოვარნი, რომლებიც მას ამ რევოლუციამ მოუტანა. მაგრამ კუბელი ხალხი მარტო როდია თავის ბრძოლაში სამართლიანი საქმისათვის.

კუბელი ხალხის ბრძოლა ორგანული, შემადგენელი ნაწილია მშვიდობისა და პროგრესის ძალების საერთო ბრძოლისა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირი, ახორციელებს რა მშვიდობის და თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ინტერესების დაცვის პოლიტიკას, საჭირო დახმარებას გაუწევს კუბელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში.

ხოლო თუ კუბის წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია, კუბას გაეწევა საჭირო დახმარება. მე გიცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირის როლი ამ საქმეში უკანასკნელი როდი იქნება.

გისურვებთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, — და ვუსურვებ კუბის მთელ ხალხს წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ და თავდადებულ ბრძოლაში თქვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გულწრფელი პატივისცემით
**ნ. ხრუშჩოვი**

1960 წლის 25 ივლისი.
მოსკოვი, კრემლი.

## ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი დე გოლისადმი

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს შარლ დე გოლს განიარაღების საკითხზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში კერძოდ, აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც იგი ვიზიტად იყო საფრანგეთში ამა წლის მარტ-აპრილში, საფრანგეთის მთავრობის პოზიციაში თანამედროვეობის ისეთი კარდინალური საკითხის შესახებ, როგორიცაა განიარაღება, არსებითი ცვლილებანი მოხდა. საფრანგეთის პრეზიდენტის 11 და 30 ივნისის წერილებში მთავარი ყურადღება ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა შესახებ გადატანილია იმაზე, რომ კონტროლი დაწესდეს მათდამი, ხოლო მათი მოსპობის საკითხი განზე რჩება.

იმისათვის, ვინც მიზნად ისახავს მიაღწიოს ნამდვილ განიარაღებას, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ერთადერთი გზით, სახელდობრ მათი მოსპობის გზით.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოაგონებს, რომ საბჭოთა წინადადებებში განიარაღების შესახებ გათვალისწინებული იყო ზოგიერთი იდეა, რომლებიც გამოთქვეს მოლაპარაკების პარტნიორებმა, და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის მხარემ.

წერილში გამოთქმულია გაოცება, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში თავისი ძირითადი ღონისძიებანი მოახმარა არა იმ დებულებათა კონსტრუქციულ გამოვლინებას, რომელთა შესახებაც სსრ კავშირისა და საფრანგეთის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, არამედ ამ დებულებებში უთანხმოების გამონახვას. ამით საფრანგეთის წარმომადგენელმა ფაქტიურად მხარი დაუჭირა ამერიკის წარმომადგენლის, უფრო ზუსტად პენტაგონის ხაზს, რომლის მიზანია ჩამოაცილოს ათი სახელმწიფოს კომიტეტი მის ამოცანას — ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა გამონახვას განიარაღების დარგში.

წერილში აღნიშნულია, რომ ათი სახელმწიფოს კომიტეტში დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა გამოსვლები გადაიქცა უაზრო დავად, ხოლო თვითონ კომიტეტს დასავლეთის სახელმწიფოები იყენებდნენ როგორც შირმას გამალებული შეიარაღების დასაფარავად. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირი ამას ვერ შეურიგდებოდა და საქმის ინტერესებისათვის შეიტანა წინადადება, რომ განიარაღების საკითხი განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ.

საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია წერილში, ისევე როგორც წინათ, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველა საშუალებით იბრძოლოს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მალე მისაღწევად და იმედს გამოთქვამს, რომ საფრანგეთის მთავრობა თავის კონსტრუქციულ წვლილს შეიტანს ამ პრობლემის გადაჭრაში. (საქდესი).

## დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანს ამხანაგ ი. ბ. ურუშაძეს

ცხაკაიას რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ გ. დ. ბალათურიას

საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანს ამხანაგ მ. ა. ხარშილავას

ცხაკაიას რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 101,3 პროცენტით, კვერცხისა — 106,1 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 107 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 137 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 113,2 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ფოცხოს (თავმჯდომარე გრიგოლ პავლეს-ძე შონია), სოფელ ძველი სენაკის (თავმჯდომარე ალბერტ ნოეს-ძე კურდღელია), სოფელ ახალსოფლის (თავმჯდომარე ნოე ალექსის-ძე ცხვიტავა), სოფელ ზანის (თავმჯდომარე ვლადიმერ როსტომის-ძე ბაკურაძე) და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მეჩაიეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ჩაის მწვანე ფოთლის, დაფნის ფოთლის, აბრეშუმის პარკის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## გამარჯობა სამშობლოვ!
### ქართველი მოცეკვავენი ამერიკიდან მოსკოვს დაბრუნდნენ

**ჩვენი ინტერვიუ**

**გუშინწინ**, გვიან საღამოს, სპეციალური თვითმფრინავით ნიუ-იორკიდან მოსკოვს ჩამოვიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელიც მთელი ოთხი თვე იყო საგასტროლოდ ამერიკაში.

„კომუნისტის" კორესპონდენტი გუშინ ტელეფონით ესაუბრა ანსამბლის ერთ-ერთ სამხატვრო ხელმძღვანელს საქართველოს სახალხო არტისტს ნინო რამიშვილს, გაზეთის მკითხველთა სახელით მიულოცა მშვიდობიანად დაბრუნება და სთხოვა მოეთხრო ზოგიერთი რამ.

ნინო რამიშვილმა თქვა:

— მეტად ხანგრძლივი და მუხლჩაუღებელი იყო ამჯერად ჩვენი მოგზაურობა ჩრდილოეთსა და სამხრეთ ამერიკაში. ამიტომაც ნამდვილად მოსალოცია შინ მშვიდობიანად დაბრუნება. კვლავ ძვირფას სამშობლოში ვართ, ერთი სული გვაქვს, ვიდრე საყვარელ თბილისში ჩამოვიდოდეთ...

პირველი კონცერტი ამ ოთხი თვის წინათ გავმართეთ შეერთებულ შტატებში, ბოლო კონცერტი კი — კოლუმბიის ერთ-ერთ ქალაქ კალიში 22 ივლისს. კალიდან ნიუ-იორკში ჩავედით. იქ ერთი დღე დავყავით და 24 ივლისს ლონდონზე გავლით მოსკოვს გამოვფრინდით ანსამბლის ორმოცდაჩვიდმეტივე წევრი.

შეერთებული შტატების და კოლუმბიის გარდა, ვიყავით კანადაში, მექსიკაში, კუბაში, ვენესუელაში, სულ ასამდე კონცერტი გავმართეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დარბაზთა ტევადობას, სადაც კონცერტებით გამოვდიოდით (ამ დარბაზებში თორმეტი-თოთხმეტი ათასი მაყურებელი ეტევა), ჩვენს კონცერტებს მილიონზე მეტი ამერიკელი დაესწრო... ახლა, ასე ნაჩქარევად ნამდვილად ძნელია თუნდაც მეათასედის თქმა, მაგრამ ერთი კი შეიძლება ამაყად ითქვას — ჩვენს ქართულ ხელოვნებას ყველგან სიყვარულითა და ცნობისმოყვარეობით ხვდებოდნენ. ყველას ერთი დიდი მიზანი გვასულდგმულებდა — გვესახელებინა ჩვენი საყვარელი სამშობლო, ჩვენი ხელოვნება.

არასოდეს არ დაგვავიწყდება კუბაში გატარებული რამდენიმე დღე. ის დიდი აღფრთოვანება და აღტკინება, რაც ამჟამად ამ პატარა ქვეყანაში სუფევს.

ამერიკაში მოგზაურობისას თან გვახლდა ოპერატორი გიორგი ასათიანი, რომელმაც კინოფირზე აღბეჭდა თითქმის ყველაფერი, რაც ამ ოთხი თვის მანძილზე გადაგვხდა. ამ ფილმს ალბათ მალე ნახავს მაყურებელი და უფრო ვრცლად დაწვრილებით გაიგებს.

ახლა მთავარია დასვენება, თუმცა კვლავ მრავალ ქვეყანაში გვეპატიჟებიან. დასვენების შემდეგ ჩვენი მიზანია — შემოვიაროთ საქართველოს ყოველი რაიონი და ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში ჩავაბაროთ მშობელ ხალხს. ამ შინა გასტროლებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავს მივუძღვნით.

თბილისში 29 ივლისს ჩამოვალთ. ახლა მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენი ანსამბლის ყველა წევრის სახელით გულითადი მადლობა ვუთხრა მშობელ ხალხს, სამშობლოს ესოდენ დიდ და პასუხსაგები ნდობისათვის.

გთხოვთ ჩვენი მხურვალე სალამი გადასცეთ გაზეთ „კომუნისტის" ყველა მკითხველს.

# ყველა რეზერვი მოქმედებაში!

**ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!**

**ე. ჯაფარიძე,**
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს, რომელმაც განიხილა მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია მრეწველობის, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობის დიდებული ამოცანები. შვიდწლედში საქართველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება უნდა გაიზარდოს 75 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო კოლექტივები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. შარშან საქართველოს მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების დავალება 103 პროცენტით გაანაღდა. ვადაზე ადრე 105 პროცენტით შესრულდა შვიდწლედის მეორე წლის ექვსი თვის გეგმაც. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის წარმოება გათვალისწინებული 5,3 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 10 პროცენტით.

წლითიწლობით მცირდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. როგორც შარშან, წელსაც ექვსი თვის გეგმა სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი მილები. წელს ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მილების აღიდვის საამქრო, რაც მკვეთრად გაადიდებს მილების წარმოების მოცულობას, ამასთან გააფართოებს ასორტიმენტს.

სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მილების ლითონით ფარვას და თერმულ დამუშავებას. ამ მიზნისათვის ქარხანაში შენდება მილსაგლინავი საამქროს თერმული განყოფილება და ლითონსაფარი საამქრო. რესპუბლიკის მეორე მეტალურგიულ საწარმოში — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მკვეთრად გაიზრდება მარგანეცის შენადნობთა გამოშვება. ამასთან დაკავშირებით ქარხანა რეკონსტრუირებული იქნება და აღიჭურვება ახალი დახურული ფეროშენადნობი ღუმელებით.

რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით არის გაჩაღებული მუშაობა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. შვიდწლედში მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 19 პროცენტით. ამასთან რუსთავში შენდება სინთეზური ბოჭკოს ახალი დიდი ქარხანა, რომლის პროდუქცია ფართო გამოყენებას ჰპოვებს მოსახლეობასა და მრეწველობაში.

მოკლე დროში რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ახალი მძლავრი დარგი — ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობისა. 22 ახალი ქარხანა, რომლებიც წვრილი საწარმოების ბაზაზე ჩამოყალიბდა, უკვე უშვებს ისეთ პროდუქციას, როგორიც არის სამაგისტრალო ელექტრომავლები, ელექტროძრავები, ელექტროკარები, სხვადასხვა ხელსაწყო და მოწყობილობა, საოჯახო მოხმარების საგნები.

სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მაგალითზე, სადაც საგლინავ დგანებზე პროცესების ავტომატიზაციამ ქარხანას საშუალება მისცა დაეზოგა 10 მილიონი მანეთი, თითქმის ექვსი პროცენტით აემაღლებინა შრომის ნაყოფიერება და წელიწადში რამდენიმე ათასი ტონით გაეზარდა მილების გამოშვება.

კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თბილისის სახეხ ქარხანაში. ხორციელდება ღონისძიებანი სახეხი ჩარხების ნაკადური წარმოების ორგანიზაციისათვის.

სამთო მრეწველობაში, კერძოდ ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, აგრეთვე ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში, სადაც მექანიზაციის დანერგვა წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა, შარშან ქვანახშირისა და მადნის მექანიზებული დატვირთვის ხვედრითი წონა გაიზარდა 62 პროცენტამდე. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის გამამდიდრებელ ფაბრიკებში დაინერგა მაგნიტური სეპარატორები და მაღალი სიხშირის დასალექი მანქანები. ამ ღონისძიებათა განხორციელებით მაღალი ხარისხის მარგანეცის გამოშვება გაიზარდა 2 პროცენტით, ხოლო თვითეული ტონა მარგანეცის თვითღირებულება შემცირდა 3 მან. და 80 კაპიკით. ამით ტრესტმა რამდენიმე მილიონი მანეთი ეკონომია მიიღო.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ენერგეტიკულ მეურნეობაში საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია მიმართული იყო ენერგოსისტემის რიტმული მუშაობისაკენ, ჰიდროელექტროსადგურების სრული ავტომატიზაციისაკენ. ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემის ჰიდროელექტროსადგურების ყველა დიდი აგრეგატი გადაყვანილია ავტომატურ გაშვებასა და გაჩერებაზე. ამასთან ხრამჰესი, სოხუმჰესი, აწჰესი, ბალნარჰესი ავტომატიზებული არიან და მართვა ხორციელდება „სახლიდან" მორიგეობით. ამან გააუმჯობესა სადგურების საექსპლოატაციო თვისებები, აამაღლა მათი ეკონომიურობა და მუშაობის საიმედოობა, ამასთან შეამცირა ჰიდროელექტროსადგურების მომსახურე პერსონალი.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საშენ მასალათა, სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში. რუსთავის ცემენტის ქარხანა გადაყვანილია გაზის სათბობზე, რაც წელიწადში რამდენიმე მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა. თბილისის კერამიკულ კომბინატში ათვისებულია ნახევრად ფაიფურის სამშენებლო ნაწარმის უკაფსულო ამოწვა. სტალინირის ავეჯის კომბინატში, თბილისისა და ახალდაბის ავეჯის ფაბრიკებში მექანიზებულია ავეჯის ფარების დაფანერება. ამ ღონისძიებებმა შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებასთან ერთად ხელი შეუწყო მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებას, აამაღლა პროდუქციის ხარისხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში დაიდგა 100 ავტომატური საქსოვი მანქანა. ამან საწარმოს კოლექტივს შესაძლებლობა მისცა მომსახურების ნორმა 2-3 საქსოვი მანქანიდან 5-6 მანქანამდე გაეზარდა და სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაეთავისუფლებინა 30 კაცი. წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში დაიდგა 4 პარკსახვევი ავტომატი პარკების ცენტრალიზებული მოხარშვის აგრეგატით, რის შედეგადაც აქ შრომის ნაყოფიერება 50 პროცენტით გაიზარდა და წლიურმა ეკონომიამ 150 ათასი მანეთი შეადგინა.

თბილისის ტყავის ფაბრიკაში საკუთარი ძალებით დაამზადეს და დაამონტაჟეს ჩარჩო დოლურები ტყავის თხევადი დამუშავებისათვის, რის შედეგადაც მექანიზებულია ტყავის დატვირთვა და გადმოტვირთვა, დანერგილია ტყავსაქონლის ტენიანობის განმსაზღვრელი ხელსაწყო აქტიური მჟავიანობის გამოსარკვევად.

დიდი მუშაობაა გაწეული რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში. ჩაის 27 ფაბრიკაში საწარმოო პროცესების მექანიზაციით, მოწყობილობის რეკონსტრუქციითა და მოდერნიზაციით მიღწეულია ისეთი წარმადობა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს დამატებით იმდენი ჩაის ფოთლის გადამუშავებას, რომლისთვისაც კიდევ ოთხი ახალი ფაბრიკის აშენება იქნებოდა საჭირო.

ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას პირდაპირი კავშირი აქვს შედუღების ტექნიკასთან. ლითონის შედუღება ახალი მძლავრი საშუალებებით ხელს შეუწყობს იმას, რომ მოკლე დროში ძირეული ცვლილებები მოხდეს მრეწველობასა და მშენებლობაში. იგი საშუალებას მოგვცემს უფრო ეკონომიურად გამოვიყენოთ ლითონი, ელექტროენერგია, შრომითი დანახარჯები. შვიდწლედში შედუღებული კონსტრუქციების წარმოება რესპუბლიკაში 1958 წელთან შედარებით ორჯერ უნდა გაიზარდოს, შედუღების სამუშაოთა მექანიზაციის საშუალო დონე 40 პროცენტს მიაღწევს.

შედუღება კარგად არის ორგანიზებული ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში. საგლინავი დგანების წარმადობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა გლინის გამძლეობის გახანგრძლივება. ამისთვის გაცვეთილ გლინებზე კეთდება ავტომატური დანადუღი ფლუსის ფენით. ამით მეტალურგებმა 2-3-ჯერ გაახანგრძლივეს გლინების გამძლეობა და სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას მიაღწიეს. მარტო შარშან მათ ამ გზით 800 ათასი მანეთი დაზოგეს.

ცნობილია, რომ ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების ამოცანა არ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ შემდგომ უფრო ფართოდ არ გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები წარმოებასთან სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირის განმტკიცებისათვის. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა 14 ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. ჩვენმა მეცნიერებმა სახალხო მეურნეობისათვის მეტად საინტერესო, უაღრესად ეფექტური ბევრი ახალი ტექნოლოგიური პროცესი დაამუშავეს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიულ ინსტიტუტში შეიმუშავეს დახურულ რკალურ ღუმელებში ფეროშენადნობთა წარმოების ტექნოლოგია.

თბილისის ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნეს 14 სხვადასხვა გამოსათვლელი სამართავი მანქანა, რომელთაგან ბევრი უკვე დაინერგა წარმოებაში.

კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის წინამძღვრების შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა სპეციალიზაციას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხს. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნები სპეციალიზებულია ღვინის, ხოლო ბათუმის მანქანათმშენებლო ქარხანა ჩაისა და საკონსერვო მრეწველობისათვის მოწყობილობის გამოსაშვებად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში, რომელიც უშვებდა სათადარიგო ნაწილებს საბურღი მოწყობილობისათვის, კომპრესორებისა და დიზელებისათვის, სპეციალიზებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაშვებად. ქარხნების რაციონალური კოოპერირების მიზნით შემოღებულია სხმულის რაიონული კოოპერირება.

მაგრამ საწარმოთა კოოპერირებისა და სპეციალიზაციის დარგში ჯერ კიდევ ცოტა არის გაკეთებული. ყველა ქარხანაში როდია ლიკვიდირებული წვრილი სამსხმელო საამქროები. იქ დეტალების ჩამოსხმა მოძველებული მეთოდებით წარმოებს, რის გამო სხმულის ხარისხი დაბალია, დიდია წუნი, მაღალია სხმულის თვითღირებულება, არის ლითონის გადახარჯვა.

ლითონის ნაწარმისა და წვრილი დეტალების დასამზადებელი სპეციალიზებული საწარმოს უქონლობის გამო ქარხნები საკუთარი მოხმარებისათვის თვითონვე ამზადებენ მათ ამისათვის მოუხერხებელი მოწყობილობით. ამასთან ზოგიერთ ქარხანაში დადგმულია ლითონის ნაწარმისა და წვრილი დეტალების დასამზადებელი სპეციალური ავტომატები, მაგრამ ისინი სრულად არ არიან დატვირთული, მაშინ როცა სხვა ქარხნებში ამ დეტალების უქონლობის გამო პროდუქციის გამოშვების გეგმები ირღვევა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვიკარნახებს, რომ აუცილებელია შევქმნათ ლითონის ნაწარმისა და წვრილი დეტალების გამოსაშვები სპეციალური ქარხანა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს რესპუბლიკის ყველა ქარხნის მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან, იაფ ლითონის ნაწარმსა და სხვა წვრილ დეტალებზე.

ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაში, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენს რესპუბლიკაში მიღწევებთან ერთად ნაკლიც არის. ახალი მანქანების თითქმის 40 პროცენტი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული წარმოებაში, ჩვენ კვლავ სუსტად ვახორციელებთ საწარმოებისა და საამქროების მთლიან კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ამ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით ჩვენ ამოცანად დავისახეთ 1961-1962 წლებში მრეწველობის ყოველ დარგში გვქონდეს თუნდაც ერთი მთლიანად ავტომატიზებული საამქრო, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის ეს საწარმოები მთლიანად ავტომატიზებული გავხადოთ.

შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ მუშაობას მასებში. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდნენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის პრაქტიკულ ამოცანებს, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ პარტორგანიზაციების მთელი საქმიანობა გამსჭვალული იყოს ყოველივე მოწინავისათვის მხურვალე მხარდაჭერის ზრუნვით, სიძნელეებთან შეურიგებლობით, კონკრეტულობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მიგვითითა, რომ შვიდწლედის ძირეული პრობლემა — მაქსიმალურად მოვიგოთ დრო კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში, — შეიძლება წარმატებით გადავწყვიტოთ მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ტემპების ყოველი ღონისძიებით დაჩქარების გზით და ამ ბაზაზე შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებით. ამისათვის საჭიროა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი და შესაძლებლობა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს აქვთ. პირველ რიგში ეს რეზერვია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოთა რაციონალური კოოპერირებისა და სპეციალიზაციის განხორციელება, ამასთან წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც შეიარაღებული არიან კონკრეტული სამოქმედო პროგრამით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ძალღონეს არ დაიშურებენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისთვის, საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაყოფიერი მუშაობა ტარდება ციტრუსოვანთა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ჩაქვის სახელმწიფო ჯიშთაგამოსაცდელ ნაკვეთზე. აქ წარმოებს ციტრუსოვანთა კულტურების ახალი პერსპექტიული ჯიშების გამოცდა, რომლებიც შემდეგ გასაშენებლად გადაეცემა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ახლა, მაგალითად, ნაკვეთის პლანტაციებზე მიმდინარეობს ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის და ხურმის სხვადასხვა ჯიშის საკონტროლო გამოცდა. მეციტრუსეთა მუშაობას ხელმძღვანელობს გამოცდილი აგრონომი ო. მეგრელიშვილი. მან გამოიყვანა მანდარინის საადრეო ჯიშები, რომლებიც მოსავალს 20-25 დღით ადრე იძლევიან. ისინი გამოირჩევიან ყინვაგამძლეობით, მაღალი მოსავლიანობით და უჭირავთ ნაკლები ფართობი.

წელს საადრეო მანდარინის 5 ათასი ნერგი გადაეცემა აჭარის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

**სურათზე:** აგრონომი ო. მეგრელიშვილი ათვალიერებს საადრეო მანდარინის ჯიშებს.

ფოტო ს. ონანოვისა.
(საქტესის ფოტოქრონიკა).

*თუ იკისრე, შეასრულე კიდეც!*

# თვითდინების ტყვეობაში

**ცივ-გომბორის** მთებზე, რომლებიც ზამთრობით პირქუში და მიუკარებელია, ახლა მწვანე ბალახი ბიბინებს, მიდამო ქართულ ხალიჩას დამსგავსებია. გრილი ჰავა, ნოყიერი ბალახი, კონცენტრირებული საკვები, ანკარა წყალი, მზრუნველი ხელი — ყველაფერი ეს უხვად აქვს თელავის რაიონის რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის" მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგს.

ფერმაში დღედაღამ არ წყდება მუშაობა. ბაკების დასუფთავება, კომბინირებული საკვებით პირუტყვის დაპურება, მარილის მიცემა, ძროხების მოწველა, ყველ-კარაქის ქარხანაში რძის გაგზავნა... ამას გარდა, სხვაც ბევრი საქმე აქვთ მწყემსებს, მაგრამ ყველაფერს ასწრებენ. ბეჯითი შრომის ნაყოფი კოლმეურნეებს ახარებს.

— შვიდი წლის წინათ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ძამუკაშვილმა, — საშუალოდ ერთ საფურაჯე ძროხაზე 350 კილოგრამი რძე მოვწველეთ და, რომ იტყვიან, სიხარულით ცას ვეწიეთ. სახელმწიფოს ასიოდე ცენტნერი რძე ჩავაბარეთ. ეს საკმარისი გახდა, რომ ქება-დიდება დაგვემსახურებინა. ძველს ახალს ვადარებ და გული სიამით მევსება. მიმდინარე წლის ექვს თვეში თვითეულ ძროხაზე 1.084 კილოგრამი რძე მოვწველეთ. ეს შარშან ამავე პერიოდში მიღებულს 87 კილოგრამით აჭარბებს. 1.271 ცენტნერი რძე სახელმწიფოს — ეს ჩვენი წლევანდელი ვალდებულებაა. მის შესრულებას ასი ცენტნერიღა გვაკლია.

სოფლის თავკაცმა მწველავებს მარჯვენა დაულოცა. არ შემცდარა! საქმეს არც ერთი არ ღალატობს, ყველა ბეჯითობს. ანო კობაიძემ ექვს თვეში თვითეულ ძროხაზე 1.800 კილოგრამი რძე მოწველა. წელს ერთი ამდენი კიდევ იქნებაო, ამბობს იგი. სიმართლეში ეჭვი არავის ეპარება. წარჩინებულნი სხვებიც არიან. თამარ ყველაიძემ და ლარისა ბურდულმა წინა წლებთან შედარებით ხუთჯერ გაადიდეს ძროხების წველადობა.

ცივ-გომბორის მთის კალთებზეა გაშლილი ვარდისუბნის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგიც. აქაც ხალისიანი შრომაა გაჩაღებული. შარშანდელთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 104 ლიტრით გაადიდეს. მწველავებმა კოლმეურნეობას ასობით ცენტნერი რძე შემატეს.

არც ვანთის, სანიორისა და გულგულის კოლმეურნეობებს აქვთ სამდურავი. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს.

**ლაფანყური** კავკასიონს გულში ჩაუხუტებია. სახნავ-სათესი მიწები მუხისა და წიფლის ტყეებით არის შემორკალული, მდინარე ლოპოტა სოფელს გვერდზე ჩაუდის, საზაფხულო იალაღები ახლოს აქვთ. ლაფანყურელებს შირაქშიც უდევთ წილი. ზამთრის საძოვრები სხვებზე მეტი თუ არა, ნაკლები არა აქვთ. ყველაფერი ეს მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელია. მაგრამ მთავარი მაინც შესაძლებლობათა მოხერხებულად, გონივრულად გამოყენებაა. სამწუხაროა, რომ ამ საქმეში ლაფანყურელები ორივე ფეხით მოიკოჭლებენ.

— ლაფანყურის კოლმეურნეობა მეცხოველეობის დარგში წარმატებებით ამაყობს. ბინები დიდი და კარგი ააგეს, საკვები უამრავი აქვთ. ხუთასამდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ოთხი ათასი სული ცხვარი, ბევრი ღორი კოლმეურნეებს ამდიდრებს, — ასე წერდა თელავის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა" ოცი წლის წინათ.

— ახლა უკეთესად იქნება საქმეო, იტყვის მკითხველი. ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ პირიქით აღმოჩნდა. ძველად აგებულ ბინებს თუ რამე დაკლებია, თორემ არაფერი მომატებია. შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია? ეს აზრადაც არავის მოსვლია. პირუტყვის სულადობა წინანდელზე გაცილებით ნაკლებია. არც ჯიშის გაუმჯობესებისათვის იწუხებენ თავს. საკვები? ვერც ამ საქმეში მამაცობენ. შარშან მხოლოდ და მხოლოდ სილოსის ჩადების დავალება შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით თივა შვიდასი ცენტნერით ნაკლები დაამზადეს, ნამჯა, ბზე და ჩალა კი 1.355 ცენტნერით ნაკლები.

მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის მესვეურებს გამბედაობა ეყოთ, რომ რიხით განეცხადებინათ:

— შვიდწლედის მეორე წელს სახელმწიფოს მივყიდით 646 ცენტნერ ხორცს და 830 ცენტნერ რძეს.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ვალდებულებანი ლაფანყურელებს დავიწყებოდეთ, მაგრამ ფაქტია ის, რომ მისი განაღდების აუცილებლობა აღარ ახსოვთ. ექვს თვეში 720 ცენტნერი რძე მოწველეს. სახელმწიფოს მხოლოდ 270 ცენტნერი რძე მიჰყიდეს. დანარჩენი?

სიტყვა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ვალდებულებაზე ჩამოვარდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ლეშკაშელმა თავისი „ჩობან-დავთარი" მოიმარჯვა და არხეინად თქვა:

— ეს ჩვენ არ გვაშინებს. ვასუქებთ 160 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და 400 ცხვარს. წლის ბოლომდე ყველაფერი რიგზე იქნება.

არც ჩვენ გვინდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიტყვა „ბანზე ავაგდოთ", მაგრამ საეჭვოა, რომ მისი ნათქვამი გამართლდეს. ექვს თვეში 323 ცენტნერი ხორცი უნდა მიეყიდათ სახელმწიფოსათვის ფაქტიურად 151 ცენტნერზე მეტი არ მიუყიდიათ. წლიური ვალდებულება რომ გაანაღდონ, 495 ცენტნერი ხორცი სჭირდებათ, საქმე ისე მიდის, რომ ნათქვამს ვერ შეასრულებენ. ორასი სული ღორის გასუქებას ვარაუდობენ, მაგრამ როდის?

ვალდებულებათა ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ:

— ვიყოლიებთ 130 ფრთა კვერცხმდებელ დედალს.

ვალდებულება მეტად მცირეა, მაგრამ უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ ნათქვამიც ვერ გაანაღდეს, 120 დედალზე მეტი არა ჰყავთ.

**ფშაველის** მეთვრამეტე პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველეობის საქმის წინ წაწევისათვის ცუდი პირობები როდი აქვს, მაგრამ ამის გამო, რომ არ ნერგავენ ახალს, პროგრესულს, პროდუქტიულობაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. მიმდინარე წლის ექვს თვეში შარშან ამავე პერიოდთან შედარებით 118 კილოგრამით შეამცირეს თვითეული საფურაჯე ძროხის წველადობა. ამიტომ არის, რომ ვალდებულებით ნაკისრი 1.629 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოსათვის მიყიდული აქვთ მხოლოდ 539 ცენტნერი რძე.

კიდევ უფრო სავალალოდ გამოიყურებიან ხორცის წარმოების საქმეში. დაუდევრობით, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით წელს 177 სული ღორი მოუკვდათ და რა გასაკვირველია, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ვალდებულებას ვერ ასრულებენ. 1.052 ცენტნერის ნაცვლად 360 ცენტნერი — აი მათი ავლადიდება.

**თელავის** რაიონმა გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური ვალდებულება. მაგრამ სამწუხაროა, რომ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვაში სამარცხვინო ჩამორჩენაა. 23.084 ცენტნერი რძე წლიური ვალდებულებით არის გათვალისწინებული. ფაქტიურად დღემდე თერთმეტი ათასი ცენტნერი ჩაბარდა. 16.000 ცენტნერი ხორცი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, ფაქტიურად ხუთ ათას ცენტნერზე მეტი არ მიუყიდიათ.

გასაკეთებელი ბევრია, დრო კი — ცოტა. რას ფიქრობენ კოლმეურნეები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები? გულზე ხელის დაკრეფით საქმე არ გამოვა. ჩამორჩენის დასაძლევად ენერგიული ღონისძიებანი უნდა განახორციელოს პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

რეიდის მონაწილენი: — **ელენე დათუნაშვილი** — სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი ზოოტექნიკოსი; **ოთარ ხუციშვილი** — რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ნიკოლოზ იარალოვი** — საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საკუთარი კორესპონდენტი; **სიმონ ქოჩლაძე** „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# მშენებლები არ ჩქარობენ

## ეს არის სკოლისადმი ზრუნვა?

**დღეები** მიდის, მაგრამ ბროწეულას (წყალტუბოს რაიონი) სკოლა-ინტერნატის კაპიტალურ რემონტზე და ამავე ინტერნატის აბანოს მშენებლობაზე, რასაც წყალტუბოს საქალაქო საბჭოს სარემონტო კანტორა (უფროსი ს. ბერაძე) აწარმოებს, გათვალისწინებული თანხის მხოლოდ მეხუთედია ათვისებული. კურორტის სამშენებლო კანტორამ (უფროსი გ. მეტრეველი) ჯერ კიდევ გასული წლის მაისში დაიწყო გეგუთის საშუალო სკოლისათვის რვა საკლასო ოთახის მიშენება, რაც შარშანვე უნდა დაემთავრებინა, მაგრამ მიშენებული კედლები დღემდე სახურავამდე არ ამოუყვანიათ და საეჭვოა, რომ სკოლის გაფართოებას ახალი სასწავლო წლისათვის მორჩნენ. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორის (უფროსი შ. ნიკოლეიშვილი) მიზეზით ასევე მეორე წელია ჭიანურდება გუბისწყლის შვიდწლიანი სკოლის მშენებლობა.

სოფელ ოფურჩხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ამ სოფლის საშუალო სკოლისათვის წელს ექვსი საკლასო ოთახის მიშენება გაითვალისწინა, მაგრამ დაპირებიდან საქმეზე არ გადასულა. დღემდე სამშენებლო მოედანზე მარტოოდენ აგურის გროვები დგას.

ჩანს, წყალტუბოელი მშენებლები სასკოლო მშენებლობის ჩამორჩენას ურიგდებიან. პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა, სანამ გვიან არ არის, გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის, იმისათვის, რომ უკლებლივ ყველა სკოლა და სკოლა-ინტერნატი სანიმუშოდ და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ახალ სასწავლო წელს.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**შვიდწლედის** მანძილზე ბევრი ახალი ქარხანა, ფაბრიკა შეემატება ჩვენი რესპუბლიკის მოქმედ საწარმოთა რიცხვს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა. ახლა საქართველოში ათობით ახალი ელექტროტექნიკური საწარმო მუშაობს. მაგნიტური გამშვებები, სხვადასხვა ავტომატები, დიდი და პატარა ელექტროძრავები, ელმავლები და კიდევ მრავალი სხვა სახის პროდუქცია იგზავნება ამ ქარხნებიდან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთ პიონერად ითვლება ქარხანა „ელექტროავტომატი", თუმცა მასაც სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს. აქ ჯერ კიდევ ყველაფერი ახალია, ახალგაზრდაა მისი კოლექტივიც. არა თუ მოხუცს, შუახნის კაცსაც კი იშვიათად შეხვდებით აქ. მუშათა უდიდეს ნაწილს ის ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებიც საშუალო სკოლის მერხებიდან მოვიდნენ წარმოებაში, მოვიდნენ და თან მოიტანეს ახალგაზრდული სიხალისე, ენერგია, შემმართებლობა.

# სწავლასა და შრომაში



სწორედ მათი წყალობით არის, რომ ქარხნის კოლექტივი ყოველთვის პირველი ეხმაურება ყოველ ახალ წამოწყებას. საწარმოს ახალგაზრდები ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის წოდებისათვის დაწყებულ ბრძოლაში. ამ მაღალი წოდებისათვის უკვე ათეულები იბრძვიან.

ეს ორი ახალგაზრდაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ქარხანაში. ლამარა თედიაშვილი და ზურაბ ჯაყელი უკვე სამ წელზე მეტია მუშაობენ ქარხანაში, ზედმიწევნით აითვისეს ამწყობი ზეინკლის ხელობა და ამ ხნის განმავლობაში მათი ხელიდან უკვე არა ერთი ათეული ხელსაწყო გამოსულა.

მაგრამ ლამარა და ზურაბი არა მარტო შრომაში არიან მოწინავენი. მათ კარგახანია გადაწყვიტეს განაგრძონ სწავლა, მიიღონ უმაღლესი განათლება. ამ მიზნის განხორციელებისათვის ერთი დღეც არ შეუწყვეტიათ მზადება. ახლა ორივე ახლოს არის მიზანთან. ლამარამ გადაწყვიტა წელს ჩააბაროს გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ხოლო ზურაბი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აპირებს შესვლას.

• • •

**სურათებზე:** ქარხანა „ელექტროავტომატის" მოწინავე ზეინკლები ლამარა თედიაშვილი და ზურაბ ჯაყელი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# სიტყვა ბარაქიანი, მაგრამ საქმე?!

**ახალციხის** № 4/5 შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ამოიღოს 4.500 ტონა ქვანახშირი, ძირითადი სამთო გამონამუშევრების გაყვანის გეგმა შეასრულოს 101 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 2,5 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამციროს 8 მანეთითა და 40 კაპიკით და გასწიოს 800 ათასი მანეთის ეკონომია.

როგორც ვხედავთ, სიტყვა ბარაქიანია, მაგრამ საქმე?

შახტმა 6 თვეში ქვეყანას დააკლო 6.434 ტონა ქვანახშირი, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით ნავარაუდევთან შედარებით შემცირდა 7,4 პროცენტით, საგრძნობლად გაძვირდა ქვანახშირი, გაიზარდა ნაცრიანობა.

სერიოზულად ჩამორჩებიან სამთო გამონამუშევრების გაყვანაში. ამის ერთ-ერთი მიზეზია კვალიფიციური მუშახელის სიმცირე. მესამე საექსპლოატაციო უბნის ა. ლაზარაშვილის მნგრეველთა ბრიგადას, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მოპოვებისათვის იბრძვის, დახმარების მაგიერ ხელს უშლიან. მნგრეველები სხვა სამუშაოებზე ცდებიან, მონგრევაზე კი ცვლაში მხოლოდ სამ საათს მუშაობენ.

სამაგრი მასალის ვაგონებიდან გადმოტვირთვა ხელით ხდება, შემდეგ ეს ხე-ტყე შახტამდე ავტომანქანებით მიაქვთ, ცხადია, ვაგონებიდან ხე-ტყის გადმოტვირთვის მექანიზაცია, შახტში ამ სამაგრი მასალის მისაზიდავად საჰაერო საბაგირო გზის მოწყობა ბევრად გააადვილებდა ამ სამუშაოებს.

შახტის ვერც ერთი უბანი, ცვლა ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების დავალებებს. ამის მიზეზი ძირითადად შრომის ორგანიზაციის მოუგვარებლობაა. შახტის უფროს ნ. კობახიძესთან, პარტბიუროში, შახტკომში ხშირად მსჯელობენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე, დავობენ, ვრცელ დადგენილებებსაც იღებენ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

იმატა სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებმა. 6 თვეში უმიზეზოდ გაცდენილია 251 კაცდღე, ხოლო უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევებით — 1.000-ზე მეტი კაცდღე.

რაც დრო გადის, მით უფრო მცირდება შახტში მოქმედი სანგრევის ხაზი, საჭიროა დაჩქარდეს ახალი ჰორიზონტის ლავების მომზადება. არავინ ზრუნავს ქვანახშირის ფენების დამუშავების პროგრესული მეთოდის — ციკლური გრაფიკის დანერგვაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა კონკრეტული საბრძოლო პროგრამა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის. ახალციხელმა მეშახტეებმა მეტი ფხა და მონდომება უნდა გამოიჩინონ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების რეზერვები და სამშობლოს მისცენ მეტი მაღალხარისხოვანი და იაფი ქვანახშირი.

**ჰ. ხვადაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# უშიშროების საბჭოში

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი მიმოხილვა

## ვ. ვ. კუზნეცოვის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 25 ივლისი. (საკდესი). 25 ივლისს უშიშროების საბჭოს დილის სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება: მე სიტყვას უფრო გვიან მოვითხოვ, რათა პასუხი გავცე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, მაგრამ ახლა მინდა მოკლედ გავაკეთო რამდენიმე შენიშვნა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა განვაცხადო, რომ ყოველივე, რაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თქვა იმის შესახებ, რომ „რბ-47" სამხედრო ბომბდამშენი თითქოს არ შეჭრილა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, თავიდან ბოლომდე უხეში მონაჭორია, რაც შეთხზულია ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად. არ კმარა ლამაზად ილაპარაკო „მეცნიერული მონაცემების" შესახებ.

ამ განცხადებაში არ არის არავითარი ფაქტობრივი მასალა; რუკები, რა ლამაზადაც უნდა იყოს დამზადებული, მაინც ყალბია. შეიძლება ვკითხოთ ბატონ ლოჯს: განა იგი ნამდვილად ფიქრობს, რომ მის თეატრალიზებულ ფანდებს, რასაც სულ უფრო ხშირად მიმართავს იგი უკანასკნელ დროს უშიშროების საბჭოში, შეუძლიათ დააჯერონ ვინმე? მას უკვე დიდი ხანია უნდა გაეგო, რომ უშიშროების საბჭო სცენა როდია ამგვარი წარმოდგენისათვის, რაც იაფი ეფექტისათვის არის გათვალისწინებული.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ცდილობს ფარისევლურად ითამაშოს „რბ-47" თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრთა ცოლებისა და დედების გრძნობებით. ეს სავსებით უპრეცედენტო ცინიზმია. ჩვენ სავსებით გვესმის „რბ-47" თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრთა ცოლებისა და დედების გრძნობა. მე მინდა ამასთან დაკავშირებით ვუთხრა ბ-ნ ლოჯს, რომ პასუხისმგებლობა იმ მწუხარებისა და ცრემლებისათვის, რაც ამ ოჯახებში სუფევს, მთლიანად და სავსებით ეკისრებათ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის „რბ-47" თვითმფრინავის პროვოკაციული შეჭრის ორგანიზატორებს. სწორედ მათკენ უნდა იყოს მიმართული კანონიერი კითხვა დაზარალებულთა მხრივ, ყველა იმათ მხრივ, ვინც ისწრაფვის დაიცვას მშვიდობა, რა უფლება ჰქონდათ მათ, ეთამაშნათ ეკიპაჟის წევრთა სიცოცხლით, როცა „რბ-47" თვითმფრინავს აშკარად აგრესიული აქტით აგზავნიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან 10 ათას და მეტ კილომეტრ მანძილზე. გამბედაობა იქონიეთ, ბატონო ლოჯ, და გაეცით პასუხი ამ კითხვაზე. პენტაგონი და ისინი, ვინც იწონებს მის მოქმედებას, პირველად როდი თამაშობენ უაზროდ მათი ხელქვეითი ადამიანების სიცოცხლით თავიანთი აგრესიული პოლიტიკის მიზნებისათვის, დიდი ხანია დროა შეწყდეს ეს.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს რაიმე გამოძიების განხორციელების წინააღმდეგ, ყოველგვარი კომისიის შექმნის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს გადაცემული აქვს სავსებით ამომწურავი ცნობები, რომლებიც აშკარად და გარკვეულად მოწმობენ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებული ამერიკის „რბ-47" ბომბდამშენის ფრენის აგრესიულ ხასიათს. წინადადება რაღაც გამოძიების განსახორციელებლად კომისიის შექმნის შესახებ შეიძლება ისახავდეს მხოლოდ ერთ მიზანს — დაბლართოს ნათელი საქმე, მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი და ამით საშუალება მისცეს პროვოკაციული ფრენის ორგანიზატორებს თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას. ამიტომ საჭიროა არა კომისიის შექმნა, არამედ დავგმოთ აგრესორი და მოვუწოდოთ მას წესრიგისაკენ.

ცხადია, მე უაღრესად გადაჭრით უარვყოფ როგორც ბოროტ და თავხედურ ცილისწამებას საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის მიმართ იმას, რაც აქ ითქვა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ.

ძნელი როდია დავინახოთ, რომ „ცივი ომის" პოლიტიკის გაძლიერების მომხრენი, პოლიტიკისა, რომლის ვექილად აქ ბატონი ლოჯი გამოვიდა, ცდილობენ პასუხისმგებლობა თავიანთი ცოდვებისათვის სხვას დააკისრონ, მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი.

მაგრამ ვერავინ და ვერავითარი მუხანათური ფანდებითა და მაქინაციებით ვერ შეძლებს ხალხებს დაუმალოს სიმართლე საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად მოითხოვდა და მოითხოვს დაძაბულობის შენელებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ყველა ხალხს შორის თანასწორუფლებიანობის პირობებში ურთიერთობისა და კონტაქტების ყოველმხრივ განვითარებას. ბატონ ლოჯის გამოსვლა, სამწუხაროდ, არ მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასაც სურს იაროს ამ გზით. პირიქით, მას, როგორც ჩანს, კვლავინდებურად გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს მშვიდობის საქმისათვის სახიფათო პოლიტიკა.

**ნიუ-იორკი,** 26 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ გაიხსნა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც გრძელდება განხილვა საკითხისა „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ახალი აგრესიული მოქმედებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას". პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი. ლოჯმა გაიმეორა ამერიკის მთავრობის უსაბუთო მტკიცება, რომ სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავი „რბ-47", რომელიც საბჭოთა საჰაერო სივრცეში შეიჭრა, თითქოს ჩამოაგდეს საერთაშორისო წყლებში. ცდილობდა რა ამ მტკიცების დასაბუთებას, ამერიკის დელეგატმა წარმოადგინა რაღაც რუკა, რომელიც თითქოს ასახავს თვითმფრინავის ფრენას. ლოჯმა აღიარა, რომ ამერიკის ჩამოგდებული მზვერავი თვითმფრინავი იცავდა რადიოდუმილს, როცა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას უახლოვდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობდა დაერწმუნებინა უშიშროების საბჭო, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებს რაღაც „ტექნიკურ" საშუალებათა დახმარებით შეეძლოთ დეტალურად ედევნებინათ თვალყური „რბ-47" თვითმფრინავის ფრენის მთელი მსვლელობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლის მიზანია დაიწყოს გაჭიანურებული „კვლევა" და სცადოს თავი აარიდოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო წრეების იმ აგრესიული მოქმედების დაგმობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

ამერიკის რეზოლუციის პროექტში სიტყვაც არ არის ნათქვამი ამ ფრენის დასაგმობად. იგი შეიცავს წინადადებას, რომ ინციდენტის გამოკვლევა დაევალოს კომისიას ან ეს საკითხი გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, თუმცა ამერიკის „რბ-47" თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საჰაერო სივრცის პროვოკაციული დარღვევის გარემოებანი დაწვრილებით და საფუძვლიანად მოყვანილია ნოტებში, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

მოკლე შენიშვნები გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. ამერიკელი დელეგატის მტკიცება, განაცხადა კუზნეცოვმა, — უხეში მონაჭორია და ნაყალბევია, შეთითხნილი ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად. „რბ-47" თვითმფრინავმა, რომელიც ჯაშუშურ-დივერსიულ დავალებას ასრულებდა, დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო საზღვრები და ამით ჩაიდინა აგრესიული აქტი სსრ კავშირის მიმართ. მთელი პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრება აგრესიის ორგანიზატორებს.

შეეხო რა რეზოლუციის ამერიკულ პროექტს, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს რაიმე კომისიის შექმნის წინააღმდეგ. წინადადება კომისიის შექმნის შესახებ მიზნად ისახავს დააბნიოს ნათელი საქმე და საშუალება მისცეს აგრესიის ორგანიზატორებს თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა.

ინგლისის წარმომადგენელი პ. დიქსონი შეეცადა დაეცვა პენტაგონის პროვოკაციული მოქმედება, რომლის თანამონაწილეც არის ინგლისის მთავრობა, რომელმაც თავისი ბაზები დაუთმო ამერიკის სამხედრო ავიაციას.

ასეთივე პოზიციებიდან გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მოკავშირე ნატოს ხაზით საფრანგეთის დელეგატი ა. ბერარი.

იგი ნაძალადევი გულუბრყვილობით კითხულობდა: რატომ არ ჩამოაგდეს ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სიღრმეში, მაგალითად, არხანგელსკის რაიონში, რათა დაეცვა ამერიკის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა, იგი ამტკიცებდა, რომ არ არსებობს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის იმ დაპირების „გულწრფელობაში", რომ ამერიკის ავიაციის დაზვერვითი ფრენა სსრ კავშირის ტერიტორიაზე თითქოს აღარ იწარმოებს, თუმცა „რბ-47" ინციდენტი სწორედ საწინააღმდეგოს მოწმობს.

ამით დამთავრდა უშიშროების საბჭოს სხდომა.



## რ. კასტროს შეხვედრა ნასერთან

**ლონდონი,** 26 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, გუშინ კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო, რომელიც აქ ვიზიტად იმყოფება, შეხვდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერს.

შეხვედრის შემდეგ კასტრომ ნასერი მიიწვია კუბაში.

## ხალხის ზეგავლენით

**ტოკიო,** 26 ივლისი. (საკდესი). იმის შედეგად, რომ იაპონიის კუნძულ ნიიძიმას მოსახლეობა მტკიცე ბრძოლას ეწეოდა კუნძულზე მართული ყუმბარების გამოსაცდელი პოლიგონის შექმნის წინააღმდეგ, ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გაეცათ ბრძანება სამშენებლო სამუშაოთა შეწყვეტისა და ჯარის ქვედანაყოფების ამ კუნძულიდან გაყვანის შესახებ.

# ისინი რევანშისტულ გეგმებს ადგენენ

ევროპის ცენტრში კვლავ იზრდება ომის საფრთხე. იმ ხალხებისათვის, რომლებმაც ნაცისტური ჩექმის სიმძიმე განიცადეს, დასავლეთ გერმანიის ახალი ვერმახტის ოფიცერთა განკარგულებები დამაფიქრებელია და სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენს.

სამაგიეროდ გერმანული ტანკების მუხლუხების ღრჭიალი ბონელ რევანშისტთა ამერიკელი პარტნიორების დაუფარავ სიხარულს იწვევს. ჟურნალი „ლაიფი", რომელმაც ცოტა პროპაგანდისტული შრომა კი არ დახარჯა დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინებისათვის მხარის დასაჭერად, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში აღტაცებით წერს „გერმანიის ახალგაზრდა, მზარდი, უკვე ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის" შესახებ. „ლაიფი" დაუფარავი სიამაყით ამბობს: „დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური დახმარებით ხორციელდება". ამაში ეჭვი რომ არავის დაებადოს, ჟურნალი ბეჭდავს მრავალ ფოტოსურათს.

მარცხენა ფოტოსურათზე — ბუნდესვერის ორი მაიორი მეცადინეობს სპეციალურ სკოლაში, „რომელიც შექმნილია ამერიკული სამხედრო კოლეჯის ტიპის მიხედვით". რუკაზე ისინი ხაზავენ სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობას. არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ ახალი ვერმახტის შტაბებში აგრესიულ გეგმებს ადგენენ. ჰიტლერის ნაბოლარები, რომლებიც მოსკოვთან გადაურჩნენ, ოცნებობენ იმ დღეზე, როცა შეძლებენ განახორციელონ თავიანთი რევანშისტული გეგმები.

მარჯვენა ფოტოსურათზე ვხედავთ საპარაშუტო-სადესანტო ჯარების ჯარისკაცთა ჯგუფს. არა, რაღაც მითური თავდასხმისაგან „თავდაცვისათვის" როდი ამზადებენ ამ ვაჟბატონებს. ამერიკელი ინსტრუქტორები მათ აგრესიისათვის, სხვისი ტერიტორიების მიტაცებისათვის წვრთნიან. „გერმანიის არმია მალე მზად იქნება ბრძოლისათვის", პათეტიკურად აცხადებს „ლაიფი".



კი არ უნდა ამაყობდნენ „ლაიფის" რედაქტორები, არამედ უნდა რცხვენოდეთ. უნდა რცხვენოდეთ იმ ბინძური, დანაშაულებრივი საქმეებისა, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში კეთდება „ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური დახმარებით".

# დათაფლული ღიმილი და ქანგიანი დანა

**კონგოელი ხალხის წინაშე პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან 1960 წლის 30 ივნისს მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა კონგოს რესპუბლიკის პირველმა პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ.**

კონგოს ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, — თქვა პრემიერმა, — წარმატებით დაგვირგვინდა. კონგოს ხალხები ამიერიდან თვითონ იქნებიან თავიანთი ბედის ბატონპატრონი, განავითარებენ ეროვნულ ეკონომიკასა და კულტურას... საგარეო ურთიერთობის დარგში კონგოს მთავრობა განახორციელებს ნეიტრალიტეტის, სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

სტუმრებს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონგოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო გამართულ ზეიმში, იყვნენ გულწრფელი მეგობრები, რომლებიც სულით და გულით მიესალმებოდნენ აფრიკაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადებას, და ისინიც, რომელთა სახესაც არ შორდებოდა დათაფლული ღიმილი, მაგრამ რომლებსაც, საშინლად გაბოროტებულებს, ზურგს უკან ჩამალული ჰქონდათ კოლონიზატორთა ქანგიანი დანა.

ღიმილი საკმაოზე მეტი იყო. იღიმებოდნენ ბელგიის მეფეც, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების წარგზავნილებიც. მაგრამ, როგორც იტყვიან, ღიმილიც არის და ღიმილიც. იმ დროს, როცა კეთილი ნების ყველა ადამიანი გულწრფელად უკრავდა ტაშს, კონგოელებს ბელგიელი კოლონიზატორები და მათი ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და დასავლეთგერმანელი თანამზრახველები კბილების ღრჭენით გაფაციცებით ემზადებოდნენ, რომ ვერაგულად ჩაეცათ ზურგში დანა ახალდაბადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის.

მიმდინარე წლის 5 ივლისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, უშიშროების საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა ერჩია გენერალური ასამბლეისათვის კონგოს რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მაგრამ კოლონიზატორებმა არაფრად ჩააგდეს ეს ფაქტიც. მათ პროვოკაციულად გამოიწვიეს უწესრიგობა შეიარაღებულ ძალებში, სადაც ბელგიელ ოფიცრებს კვლავ უნდოდათ ეპარპაშნათ, მაგრამ ამბებმა მალე ანტიკოლონიზატორული ხასიათი მიიღო.

კონგოს მთავრობამ გადააყენა ბელგიელი ოფიცრები სამეთაურო თანამდებობებიდან და ისინი კონგოელებით შეცვალა.

იმ მიზნით, რომ კონგოში შექმნათ ისეთი ვითარება, რომლის გამოყენებაც იმპერიალისტებს შეეძლებოდათ შეიარაღებული ჩარევის საბაბად, ულტრარეაქციონერმა ავანტიურისტებმა, რომლებსაც მხარს უჭერენ უცხოეთის მონოპოლიები, კონგოში მყოფ ევროპელებს შორის პანიკა შექმნეს. ამ შემთხვევაშიც ქ.ზის სინათლეზე გამოტანილ იქნა საკმაოდ გაცვეთილი შუასაუკუნეობრივი საბაბი „ევროპელთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის საჭიროებისა". ამბების მთელი მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ეს პროვოკაცია მზადდებოდა წინასწარ, იმ მოლაპარაკების პარალელურად, რომელსაც ბელგიის ხელისუფალნი კონგოელი ხალხის ლიდერებთან აწარმოებდნენ დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამბების მომენტისათვის ბელგიის ყოფილმა კოლონიურმა ხელისუფლებმა კონგოს დიდ ქალაქებში გადაიყვანეს სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისა და პროვოკატორების ბანდები.

ერთ-ერთი ასეთი პროვოკატორია ვინმე ჩომბე, რომელიც კატანგის პროვინციაში მოქმედებდა.

ლეოპოლდვილში მყოფმა ინგლისური გაზეთის „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტმა ალან კლარკმა ამ დღეებში განაცხადა, რომ კონგოს ამბების სარჩულს უნდა ვეძებდეთ „საერთაშორისო მსხვილი კაპიტალის" მაქინაციებში, რომელიც დაინტერესებულია ბელგიის ამ ყოფილი კოლონიის უმდიდრესი ნედლეულის რესურსებით. კლარკი გადაჭრით ამბობს, რომ კატანგის პროვინციაში სეპარატისტთა მეთაური მუსა ჩომბე აგენტია მსხვილი საერთაშორისო მონოპოლიებისა, რომლებიც ისწრაფვიან არ დაუშვან კონგოს მთავრობის კონტროლის დამყარება ქვეყნის მინერალურ სიმდიდრეებზე.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდი იყო, რომ კატანგაში მყოფი ბელგიის შეიარაღებული ძალების სარდალმა, კონგოელთა ჯალათმა პოლკოვნიკმა ვებერმა ცინიკურად განაცხადა: „ოღონდ საშუალება მომეცით ხელი მოვკიდო საქმეს, და მე მშვიდობიან კატანგას ვერცხლის თეფშით მივართმევ ჩომბეს".

„კატანგას მივართმევ ჩომბეს..." არა, არ გამოგივათ, ბატონო კოლონიზატორებო. მოდით საგნებს თავისი სახელები ვუწოდოთ. კოლონიზატორებს სურთ რაც უნდა დაჯდეს შეინარჩუნონ კოლონიური მონობის რეჟიმი კონგოში. „...შეაფერხონ, — როგორც ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟოზეფ კასავუბუსა და პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბასადმი, — აფრიკის სრული განთავისუფლების პროცესი და, თუ შესაძლოა, უკუღმა დაატრიალონ იგი", — აი რას ესწრაფვიან კოლონიზატორები. მაგრამ ახლა ის დროება აღარ გახლავთ. როგორც იტყვიან, იდაყვი ახლოა, მაგრამ ვერ იკბენ. კონგოს ხალხი ყელამდე მაძღარია კოლონიზატორთა მიერ გაწეული „ქომაგობით".

კონგოს მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების თანამედროვე დონე განსაკუთრებით დაბალია. საკმარისია ითქვას, რომ წლის განმავლობაში აქ თვითეულ მცხოვრებზე საშუალოდ... ნახევარი კილოგრამი ხორცის მოხმარება მოდის. მილიონობით ადამიანს სამუშაო არა აქვს და არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს. მუდმივმა შიმშილმა, შრომის მძიმე პირობებმა და ბინის ანტისანიტარულმა პირობებმა ხელი შეუწყო ხოლერის, ტიფის, კეთრის და სხვა ავადმყოფობათა ფართოდ გავრცელებას კონგოში. მაგრამ მოსახლეობა ფაქტიურად მოკლებულია სამედიცინო დახმარებას. თავიანთი ქვეყნის პატრონებს — კონგოელებს შესაძლებლობა არა ჰქონდათ გამოჩენილიყვნენ თეთრების უბნებში ისე, თუ სპეციალური საშვები არ ექნებოდათ. კოლონიზატორები — ეს „ცივილიზებული ველურები" რომ არ ყოფილიყვნენ, კონგოს მშრომელთა ცხოვრების დონე ხომ საკმაოდ მაღალი იქნებოდა. ქვეყანას უდიდესი მინერალური სიმდიდრეები აქვს.

მაგალითად, კატანგის პროვინციას სამართლიანად უწოდებენ აფრიკის „გეოლოგიურ სასწაულს". კონგოში წარმოებს სპილენძის, კობალტის, მარგანეცის, ალმასის მოპოვება. აქ ურანის მადნის ისეთი საბადოებია, რომლებიც ყველაზე მდიდარია კაპიტალისტურ სამყაროში. ამ სიმდიდრეთა პატრონები — ამერიკის, ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები — ულმობლად ძარცვავენ კონგოს, რითაც ზღაპრულ მოგებას იღებენ. მაგალითად, მარტო 1957 წელს მონოპოლისტთა მოგებამ 10,5 მილიარდ ფრანკს გადააჭარბა. მოგების ნორმა აქ დაბანდებული კაპიტალის თანხის დაახლოებით 20 პროცენტს უდრის, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე მოგების ნორმა თვით ბელგიაში.

1953-1954 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს კონგოდან გაჰქონდათ იქ მოპოვებული კობალტის 96 პროცენტი, კალის — 88 პროცენტი, ალმასის — 87 პროცენტი, ურანის მადნის მნიშვნელოვანი ნაწილი. კონგოში, ისევე როგორც აფრიკის სხვა ქვეყნებში, რამდენიმე კოლონიური სახელმწიფო პარპაშობს. და როცა კონგოელმა ხალხმა დაამხო ბელგიის კოლონიური უღელი, მან დაამხო კონგოს მიმართ იმპერიალიზმის კოლექტიური კოლონიური უღელიც.

„აი რატომ არის, — წერდა ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ კონგოს წინააღმდეგ ახლანდელი აგრესია, რომელიც ბელგიის ჯარების ხელით ხორციელდება, არსებითად წარმოადგენს იმ სახელმწიფოების კოლექტიურ იმპერიალისტურ აგრესიას, რომელთა მსხვილი მონოპოლიები ჩამსხდარან კონგოში და უწინარეს ყოვლისა მის უმდიდრეს პროვინცია კატანგაში".

კონგოს რესპუბლიკაში იმპერიალისტთა შეიარაღებული ინტერვენცია ხალხთა საყოველთაო გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. უშიშროების საბჭომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით მოუწოდა ბელგიას გაიყვანოს თავისი ჯარები კონგოდან. აფრიკის სახელმწიფოებმა კონგოში თავიანთი შეიარაღებული ძალები გაგზავნეს. კონგოელთა მხარეზეა გადამწყვეტი მხარდაჭერა და სიმპათია საბჭოთა ხალხისა, რომელიც მათ უდიდეს მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევს.

კონგოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ცოტა ხნის წინ ამ სტრიქონების ავტორს რამდენჯერმე ჰქონდა საუბარი კონგოს აფრიკის სოლიდარობის პარტიის გენერალურ პრეზიდენტთან, კონგოს რესპუბლიკის მთავრობის ახლანდელ ვიცე-პრემიერთან ანტუან გიზენგასთან. ეს დარბაისელი, დინჯი კაცია, ლაპარაკის დროს იგი წონის თვითეულ სიტყვას.

ჩემს ნახევრად სახუმარო შენიშვნაზე, ძალიან იშვიათად იღიმებით-მეთქი, გიზენგამ თქვა: — გავიცინებთ მას შემდეგ, რაც არა მარტო გამოვაცხადებთ, არამედ საბოლოოდაც განვამტკიცებთ ჩვენს თავისუფლებას და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

— კოლონიზატორები, — განაგრძო გიზენგამ, — ზოგს აქეზებენ, ზოგს ცილს სწამებენ, ზოგის სიფხიზლეს ადუნებენ, ზოგს საპყრობილეში ყრიან, ზოგს კი, ვისაც დამორჩილება არა სურს, ტყვიამფრქვევებით ხვრეტენ.

კონგოელები რომ მუდამ წელში წყდებოდნენ კოლონიზატორთა მოგების გულისათვის, —უკანასკნელები შეიარაღებული აგრესიის მოწყობასაც არ მოერიდებიან. მაგრამ იმპერიალისტები ვერასოდეს ვერავითარი საშუალებით ვეღარ დააჩოქებენ მამაც და თავისუფლებისმოყვარე კონგოელ ხალხს. ამის საწინდარია ხალხთა ძმური სოლიდარობა კონგოელთა ბრძოლასთან იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ, თავისუფლების, ბედნიერებისა და მშვიდობისათვის.

**მ. ჯიბლაძე,**

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

## ვ. ვ. კუზნეცოვი შეხვდა პატრის ლუმუმბას

**ნიუ-იორკი,** 25 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, რომელიც ნიუ-იორკში იმყოფება, შეხვდა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს პატრის ლუმუმბას. საუბრის მსვლელობაში განხილულ იქნა კონგოს უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ფ. დობრინინი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე პ. დ. მოროზოვი.

# პ. ლუმუმბას პრეს-კონფერენცია

**ნიუ-იორკი,** 26 ივლისი, (საკდესი). 25 ივლისს საღამოს კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოვიდა, რათა მოლაპარაკება გამართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ტექნიკური დახმარების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მოაწყო პრეს-კონფერენცია. პ. ლუმუმბამ განაცხადა, რომ ჰამარშელდთან შეხვედრის დროს მან სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარება რესპუბლიკის ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების გაყვანასა და იქ მშვიდობისა და მყუდროების აღდგენაში. სანამ ჩვენს მიწა-წყალზე, თქვა მან, არიან საოკუპაციო ჯარები, მშვიდობა და წესრიგი ვერ დამყარდება.

დაწვრილებით ილაპარაკა რა თავისი ქვეყნის ისტორიაზე და, კერძოდ, ბელგიასთან ურთიერთობაზე, პ. ლუმუმბამ თქვა, რომ მიუხედავად კონგოს დამოუკიდებლობის ცნობისა, ბელგიელები შეეცადნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ბატონობა. რათა სახელი გაეტეხათ კონგოელი ხალხისათვის, ბელგიელმა ოფიცრებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს ახლანდელი არეულობა. კონგოს ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ ექსცესებში.

შეეხო რა ბელგიის მთავრობის ხრიკებს კატანგის პროვინციის მიმართ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ კატანგის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა წინააღმდეგია ჩამოშორდეს დანარჩენ კონგოს და გმობს ბელგიასა და თვითმარქვია ჩომბეს. ჩვენ, თქვა პ. ლუმუმბამ, დავიცავთ ტერიტორიულ მთლიანობას.

კონგოს მთავრობას, განაცხადა პ. ლუმუმბამ, განზრახული აქვს ეკონომიური დახმარებისათვის მიმართოს მთელ რიგ ქვეყნებს განურჩევლად მათი სოციალური წყობილებისა. ჩვენ, თქვა მან, გვინდა ყველა ქვეყნის დახმარება ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში.

### ლუმუმბას განცხადება

**ნიუ-იორკი,** 26 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინიდან იუწყება, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ გუშინ აფრიკის ცხრა სხვა ქვეყნის დელეგატებს განუცხადა, მე მინდა, რომ ბელგიის ჯარები კონგოდან დაუყოვნებლივ წავიდნენო. მან თქვა, ჩემი ქვეყანა იმის მომხრეა, რომ აფრიკაში მოისპოს უცხოელთა ყოველგვარი ბატონობა.



ხელები შორს თავისუფალ კონგოსაგან!

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

# გამალებული შეიარაღების აშკარა მოწოდება

### ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე

**ჩიკაგო,** 25 ივლისი. საკდესის კორესპონდენტები გ. შიშკინი და ნ. კრესტნიკოვი იუწყებიან: დღეს აქ გაიხსნა რესპუბლიკური პარტიის მორიგი ყრილობა, რომელსაც იწვევენ პრეზიდენტის არჩევნების წელს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 50 შტატის, კოლუმბიის ფედერალური ოლქის, პუერტო-რიკოსა და ვირჯინიის კუნძულების დელეგაციები, რომლებსაც სულ აქვთ 1331 ხმა. ყრილობას ესწრება მრავალი სტუმარი და პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მრავალი ასეული წარმომადგენელი.

ყრილობამ უნდა მიიღოს პარტიის საარჩევნო პროგრამა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე და დაასახელოს შეერთებული შტატების პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები. ძირითადი გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე მიღებულ იქნა კულისებს მიღმა ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე, რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის ორი მთავარი პრეტენდენტის — ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონისა და ნავთობის მაგნატის, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის ნ. როკფელერის ბრძოლის მსვლელობაში.

დარწმუნდა რა, რომ პარტიის ხელმძღვანელობის აპარატი („პარტიული მანქანა") მორგანთა და მელონთა მოქიშპე მონოპოლისტურ დაჯგუფებათა ხელშია და რომ იგი არ დაუშვებს მისი კანდიდატურის დასახელებას პრეზიდენტის პოსტზე, როკფელერმა ყრილობის წინ მჩქეფარე საქმიანობა გააჩაღა თავისი მოთხოვნების შეტანისათვის წინასაარჩევნო პროგრამაში.

როკფელერმა უარი თქვა ნიქსონის კანდიდატურის მხარდაჭერაზე და იმუქრებოდა, რომ გათიშავს ყრილობას პროგრამის საკითხებში. ამით მან აიძულა ნიქსონი და მისი მომხრეები დათმობაზე წასულიყვნენ. მაშინ როცა ჩიკაგოში სპეციალური კომისია ამზადებდა წინასაარჩევნო პროგრამას და იხილავდა ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილ წინადადებებს, ნიქსონი ფარულად გაფრინდა ვაშინგტონიდან ნიუ-იორკს როკფელერთან შესახვედრად. ამ 8-საათიანი შეხვედრის დროს 22 ივლისს ღამით შემუშავებულ იქნა წინასაარჩევნო პროგრამის 14 ძირითადი პუნქტი, რომლებიც შეიცავენ როკფელერის ძირითად მოთხოვნებს.

მათგან მთავარია გამალებული შეიარაღების კიდევ უფრო გაძლიერების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო ხარჯების ზრდას, ბომბდამშენი ავიაციის გადიდებასა და გაუმჯობესებას, რაკეტული იარაღის წარმოების დაჩქარებას, საზღვარგარეთ ამერიკის ბაზების სხვადასხვა ადგილას განლაგებასა და გამაგრებას და შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების სრულ მოდერნიზაციას. კომპრომისულ პროგრამაში შეტანილია აგრეთვე როკფელერის მოთხოვნა გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერებისა და მიწისქვეშა ატომური გამოცდების დაუყოვნებლივ განახლების შესახებ. თავის მხრივ როკფელერმა აღუთქვა თავი შეიკავოს შემდეგში ეიზენჰაუერის მთავრობის პოლიტიკის კრიტიკისაგან და არ გამოვიდეს ყრილობაზე საკუთარი პროგრამით.

ნიქსონისა და როკფელერის შეთანხმების შედეგად 103 კაცისაგან შემდგარი კომისიის მუშაობა წინასაარჩევნო პროგრამის მოსამზადებლად გაჭარწყლდა. როგორც „ჩიკაგო ტრიბუნი" აღნიშნავს, დაუყოვნებლივ ნიუ-იორკის შეხვედრის დამთავრების შემდეგ კომისიის წევრებს „უბრძანეს მიეღოთ ნიქსონ-როკფელერის კომპრომისული შეთანხმების 14 პუნქტი". „კომისიის ზოგიერთ წევრს, — დასძენს გაზეთი, — უბრძანეს მთელი 180 გრადუსით შეეცვალათ თავიანთი პოზიცია".

კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში ნიქსონ-როკფელერის შეთანხმებას, ეს გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მასში არსებული რამდენიმე კომპრომისული უმნიშვნელო პუნქტი ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ ნიქსონი წავიდა სრულ კაპიტულაციაზე". მიაჩნია რა, რომ ამგვარად შედგენილი პროგრამა, „როგორც ჩანს, რადიკალურად ცვლის" ახლანდელი მთავრობის პოლიტიკას, გაზეთი აცხადებს, რომ „ნიქსონმა როკფელერის ნეიტრალიტეტი იყიდა თვით შეიარაღების ზომიერებაზე ხელის აღების ფასად".

**ჩიკაგო,** 25 ივლისი. საკდესის კორესპონდენტები გ. შიშკინი და ნ. კრესტნიკოვი იუწყებიან:

ყრილობის დილის სხდომა ძირითადად მიეძღვნა ქალაქ ჩიკაგოს ხელისუფლებისა და რესპუბლიკური პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა პარადულ მისალმებას. ყრილობას ტონი მისცა რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის სენატორ მორტონის მისასალმებელმა მიმართვამ ყრილობის დელეგატებისადმი. თავშეუკავებლად იქვეხნიდა რა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებას, მორტონი ამბობდა, რომ ამერიკის ბომბდამშენი ავიაცია მუდამ მზად არის საბრძოლველად, რომ ატომური ბომბებით აღჭურვილი ბევრი ბომბდამშენი მთელ დღეღამეს პატრულობს ჰაერში. იგი ლაპარაკობდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ სხვა საომარ მზადებაზე. „მსოფლიო ჯაჭვი, რომელიც შედგება ამერიკის 250 საავიაციო ბაზისაგან საზღვარგარეთ, — ცინიკურად განაცხადა მორტონმა, — გარს არტყია რუსეთს ყელსაბამივით".

მორტონი აგრესიული ტონით ლაპარაკობდა აგრეთვე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმოების გაფართოებაზე და იმაზე, რომ ამერიკის ავიაციას, რომელსაც ბაზა ავიონოსნებზე აქვს, ატომური ბომბების დიდი მარაგი მოეპოვება. მორტონის გამოსვლა გაისმა როგორც აშკარა მოწოდება გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერებისადმი. მან პირდაპირ განაცხადა, რომ, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში უნდა შეიქმნას კიდევ უფრო დიდი სამხედრო ძლიერება და რომ რესპუბლიკურ ხელმძღვანელობას უკვე შემუშავებული აქვს სამისო გეგმები.

## იტალიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი

**რომი,** 26 ივლისი. (საკდესი). ამინტორე ფანფანი (ქრისტიანი დემოკრატი), რომელსაც პრეზიდენტმა გრონკიმ დაავალა მთავრობის შედგენა, განაგრძობს მოლაპარაკებას სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელებთან.

როგორც პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, რეაქციული წრეები ზეგავლენას ახდენენ იმ მიზნით, რომ შეიქმნას მთავრობა, რომელიც განაგრძობდა ტამბრონის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას. კერძოდ, ასეთ მოთხოვნებს აყენებს მემარჯვენე კლერიკალური ორგანიზაციის „კათოლიკური მოქმედების" ორგანო გაზეთი „კუოტიდიანო", რომელიც მოუწოდებს განახორციელონ საშინაო პოლიტიკა კომუნისტების წინააღმდეგ.

ამავე დროს იტალიის საზოგადოებრიობის ფართო წრეები იმის მომხრენი არიან, რომ შეიქმნას მთავრობა, რომელიც განახორციელებს მშვიდობის, სოციალური პროგრესის პოლიტიკას და მტკიცედ დაიცავს კონსტიტუციას.

# საფრანგეთის პარლამენტში

**პარიზი,** 26 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ გუშინ ეროვნულ კრებაში განცხადება გააკეთა საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ამჟამად „საერთაშორისო მდგომარეობა შეშფოთების საფუძველს იძლევა". დებრემ დაახასიათა საერთაშორისო ვითარების გაუარესების მიზეზები და სცადა ბრალი საბჭოთა კავშირისათვის დაედო. იგი, ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ უმაღლესი დონის პარიზის თათბირი და 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობა ჩაიფუშა „საბჭოთა შეურიგებლობის გამო", ამრიგად. მან უგულებელყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება და წამოწყებანი, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

დებრემ დაიცვა კანცლერი ადენაუერი და დასავლეთ გერმანიის მთავრობის რევანშისტული პოლიტიკა. ამჟამად და მომავალ წლებში, ამტკიცებდა იგი საშიშროება დასავლეთ გერმანიიდან არ მომდინარეობს.

შეეხო რა კონგოში შექმნილ მდგომარეობას პრემიერ-მინისტრმა გაამართლა ბელგიის მთავრობის პოზიცია, რომელიც აგრესიულ მოქმედებას აწარმოებს აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. დებრემ აღიარა, რომ აფრიკაში „ახალი ძალები ილვიძებენ: ხალხები იწყებენ იმის შეგნებას, რომ საჭიროა ერთიანობა, და მათი ხელმძღვანელები ცდილობენ უზრუნველყონ იმათი ბედი, ვინც მათ რწმუნება მისცა". ამასთან დებრემ სცადა მსოფლიოს ამ ნაწილში შექმნილი მდგომარეობა დაესახა როგორც ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება საფრთხე მოჰყვეს რაღაც „იმპერიალიზმის" ძებნის შედეგად და მოუწოდა „დასავლეთის პოლიტიკური თანამშრომლობისადმი" ასეთი განვითარების თავიდან ასაცილებლად.

დებრემ განაცხადა, რომ იაპონიისა და კუბის ამბები გახდა საბაბი „ახალი და მკვეთრი დავისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის". ამასთან მან წამოაყენა ბრალდებანი კუბის მთავრობის წინააღმდეგ, ამტკიცებდა რა, რომ კუბაში „განხორციელდა თვითნებური ღონისძიებანი საფრანგეთის საწარმოთა წინააღმდეგაც კი".

საფრანგეთის პრემიერ - მინისტრმა კვლავ ილაპარაკა იმაზე, რომ საფრანგეთის მთავრობა ერთგულია „დასავლეთის სახელმწიფოთა კავშირის და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის კავშირისა". დებრემ გამოაცხადა, რომ პარლამენტის მომავალ სესიაზე დეპუტატებს წინადადება მიეცემათ განიხილონ მთავრობის სამხედრო პროგრამა, რომლის განხილვაც უკვე დაიწყო პარლამენტის კომისიებში.

# იბადება ახალი უბანი

## ელმოზლიური თბილისი

დიღმის ველზე ჭადრებისა და ალვისხის ხეივნების მყუდროება სამშენებლო მექანიზმების ხმაურმა დაარღვია. ბულდოზერები ძლივს აუდიან სათხრელი მანქანების მიერ ტრანშეებიდან ამოღებული მიწაყრილის მოსწორებას, ექსკავატორები დაუღალავად იქნევენ ფოლადის ხორთუმებს და სწრაფად ისტუმრებენ რიგში ჩამომდგარ თვითსაცლელ ავტომანქანებს. მძლავრ ტრაილერებს და „მაზებს" მოაქვთ და მოაქვთ საკედლე ბლოკები, პანელები, რკინაბეტონის კონსტრუქციები, ცემენტი, ქვიშა და ხრეში. შეუჩერებლივ მუშაობენ მექანიზმები და მათი ჯადოქრული ძალით თანდათან უფრო მკაფიოდ ვლინდება ველის მწვანე ფონზე დიდი საცხოვრებელი კვარტალის კონტურები.

მეოთხე მასივი, მეექვსე კვარტალი. ასე უწოდეს მშენებლებმა დიღმის ველის იმ პირველ მონაკვეთს, საიდანაც მათ დაიწყეს თბილისის ამ ახალი უბნის დიღმის ვრცელი ველის განაშენიანება.

16 ოთხმოცდარვაბინიანი საცხოვრებელი სახლი უნდა ამართონ მშენებლებმა ამ კვარტალში. აქვე უნდაააშენონ უნივერსალური მაღაზიის, სკოლის, საბავშვო დაწესებულებების, აბანოს, კინოთეატრის შენობები, უნდა მოაწყონ სკვერი და ნორჩ ფეხბურთელთა სასპორტო მოედანი.

— ეს იქნება ლამაზი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალი, — გვითხრეს ინჟინრებმა დიმიტრი ლომიძემ და ზაქარია უჩანეიშვილმა.

დიდი მონდომებით, განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ მშენებლები, რათა პირნათლად წარსდგნენ თბილისის მშრომელთა წინაშე ახალ სახლებში მობინადრეთა შესახლებისას, თავი ისახელონ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებაში — აშენონ სწრაფად, იაფად და მკვიდრად.

ამისათვის ეჭიბრებიან ერთმანეთს დიღმის ველზე გასული მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლები და სანიტარულ-ტექნიკურ დანადგართა მემონტაჟეები, ტრანსპორტის მუშაკები და საცხოვრებელი სახლების ამწყობები. ყველანი თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ მშენებლის დღის ალსანიშნავად მაღალი მაჩვენებლებით გაახარონ სამშობლო.

უკვე დამთავრდა პირველი სამი სახლის სასარდაფო სართულების ამოყვანა, გაიხსნა ფრონტი მემონტაჟეებისათვის, და მათაც არ დააყოვნეს გამოცხადება. მთავართბილისმშენის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტმა, რომელიც ამზადებს რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციებს და საცხოვრებელი სახლებისათვის საჭირო ყველა სამშენებლო დეტალის კომპლექტებს, აქ გამოგზავნა თავისი მემონტაჟეები ინჟინერ ნ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით. სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები მათ მიერ დამზადებული დეტალებით თვითონვე ამონტაჟებენ სახლებს.

გზების მშენებლების კვალდაკვალ მიდიან მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლები, სახლების ამწყობთა კვალდაკვალ — მომპირკეთებლები. მემონტაჟეები შეუდგნენ პირველი საცხოვრებელი სახლის აწყობას. გადავიდნენ თუ არა მეორე სართულზე, პირველ სართულში მუშაობას შეუდგნენ მომპირკეთებლები. თვეზე ცოტა მეტი დრო დასჭირდებათ 48-ბინიანი ოთხსართულიანი სახლის ასაწყობად.

ამჟამად ამოყვანილია 7 სახლის საფუძვლები. დანარჩენი სახლების საფუძვლის ამოყვანაზე მუშაობა გრძელდება.

— ცხრა სახლს გადავცემთ მემონტაჟეებს ასაწყობად, მშენებლის დღისათვის! — ასეთი ვალდებულება იკისრეს ნულოვანი ციკლის სამუშაოთა შემსრულებლებმა.

* * *

დიდუბიდან და ღრმაღელიდან თბილისს დიღმის ველისკენ გადაუბიჯებია. შენდება დედაქალაქის ახალი საცხოვრებელი უბანი. მალე ავჭალის გაღმა თეთრი კორპუსების შუშაბანდებს აელვარებს მზე და ელექტრო-შუქი.

**დ. ლომთაძე.**

* * *

სურათზე: თბილისის ხედი.

ფოტო ხ. ონანოვისა. (სურათი გადაღებულია ვერტმფრენიდან).



# „ასეთი არის დღეს საქართველო"

...კადრის სიღრმიდან პირდაპირ მოჰქრის უბელო ბედაურზე ვაჟკაცურად ამხედრებული ჭაბუკი. იგი ჩაუქროლებს დროშას. ცხენს ყალყზე შეაყენებს, დროშას აიტაცებს და ბედაურს გააქროლებს.

წინ მიისწრაფის ჭაბუკი და თითქოს ქვეყნიერების გასაგონად გუგუნებს — მოდით, იხილეთ, ხალხის ბრძოლითა თუ შრომით მოპოვებული სიხარულისა და ბედნიერების ახალი ქვეყანა, მოდით, იხილეთ, ასეთია დღეს საქართველო...

„ჩამოეცალეთ მზეჭაბუკს გზიდან,
მდინარეებო, მთათა კალთებო,
მიჰქრის ჭაბუკი ორმოცი წლისა,
ჭაბუკი არის თვით საქართველო.
და მოსძახიან ზვიადი მთანი,
მდინარეები, მთები და მდელო —
აჰა, იხილეთ საკუთარ თვალით,
როგორი არის დღეს საქართველო!.."

ასე იწყება ახალი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი, რომელსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლისათვის სადღესასწაულო დღეებში ნახავენ მაყურებლები.

სცენარი დაწერა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, მუსიკა — კომპოზიტორმა დავით თორაძემ, დამდგმელი რეჟისორია ოთარ ჭიაურელი, ოპერატორები — ალ. სემიონოვი, ოთ. დეკანოსიძე, ლ. არზუმანოვი და შ. შიოშვილი, მხატვარი — ქრ. ლებანიძე.

დამდგმელმა ჯგუფმა უკვე მოიარა საქართველოს დიდი ნაწილი — ქართლ-კახეთი, იმერეთი, სვანეთი, ფირზე ნელნელა ცოცხლდება საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, სოფლები, ქალაქები და მჩქეფარე ცხოვრება.

ჩვენი მაყურებელი უკვე იცნობს ნ. შენგელაიას, დ. რონდელის, რ. კარმენისა და ს. დოლიძის დოკუმენტურ ფილმებს, რომლებშიც ქართველი ხალხის შრომითი მიღწევები იყო ასახული; ამ ახალ ფილმში კი უფრო სრულად აისახება ორმოცი წლის საბჭოთა საქართველოს სახელოვანი გზა.

„ასეთი არის დღეს საქართველო" უაღრესად პასუხსაგები ფილმია, რომელიც, უნდა იყოს ერთ-ერთი ჭეშმარიტად დიდი საჩუქარი ქართველი ხალხისა ორმოცი წლისათვის დღესასწაულისათვის. ამ ფილმის საშუალებით საქართველომ „თავის ფეხით უნდა შემოიაროს" მრავალი ქვეყნის ეკრანი, მილიონობით ადამიანმა დაუსწრებლად უნდა იმოგზაუროს ჩვენს საყვარელ მამა-პაპათა მიწა-წყალზე. ამიტომაც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება ფილმი.

## ლიტერატურა და ხელოვნება

# კიევი აღფრთოვანებულია

### მაყურებლები რუსთაველის თეატრის სპექტაკლების შესახებ

**კიევი**, 25 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ა. დადიანი). უკრაინის გაზეთმა „სოვეტსკაია უკრაინამ" სათაურით „საუცხოო ხელოვნება" მოათავსა სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. კრუშელნიცკის ვრცელი რეცენზია. რეცენზია მიძღვნილია „ოიდიპოს მეფის" პრემიერისადმი.

„რუსთაველის თეატრის ჩამოსვლა უკრაინის დედაქალაქში — წერს იგი, — მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში". შემდეგ კრუშელნიცკის მოჰყავს მკაფიო სტრიქონები უკრაინული და ქართული თეატრების, მოძმე რესპუბლიკათა კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეთა მეგობრობის ისტორიიდან.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა 22 ივლისს სპექტაკლ „ოტელოს". დადგმა ნახეს უკრაინის ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებმა, აგრეთვე უცხოელებმა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მის მონაწილეთ ა. კორნეიჩუკისა და ვ. ვასილევსკაიას სახელით ყვავილების დიდი კალათები მიართვეს.

„ოტელოს" დაესწრო ამერიკელი რეჟისორი და დრამატურგი რალფ პორტერი მეუღლითურთ.

იგი იცნობს საბჭოთა თეატრს — 1931 წელს მისი უმუშევარი მამა სსრ კავშირში ჩამოხულა და სამუშაოზე მოწყობილა აქ. თვითონ რალფ პორტერს ორ წელიწადს უსწავლია ვახტანგოვის სახელობის თეატრის სტუდიაში.

რალფ პორტერი განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ შედარებით პატარა რესპუბლიკაში — საქართველოში 20 თეატრია, რომ შექსპირის „ოტელო" ქართულ სცენაზე უკვე 23 წელია იდგმება.

— ჩვენში კი, — თქვა მან, — არ არის არც ერთი სტაციონარული თეატრი, მაგრამ მალე გვექნება. რაც შეეხება „ოტელოს", ეს ერთერთი საუკეთესო რამ არის, რაც მინახავს ჩემს სიცოცხლეში, ადამიანს განაცვიფრებს იაგოს (ა. ვასაძე) ინტელექტუალური თამაში. საუცხოოა კასიო (კ. მახარაძე).

რუსთაველის თეატრი ჰეროიკის, დიადი გრძნობის თეატრია. მე ვოცნებობ ასეთ თეატრზე.

23 ივლისს ოქტომბრის კულტურის სასახლეში რუსთაველელებმა დადგეს თავიანთი უკანასკნელი პრემიერა — კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა". მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩახავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. მანჯგალაძე, რომელსაც კიეველები პირველად გაეცნენ, აგრეთვე ა. კუპრაშვილი, ს. ყანჩელი, და სხვები.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

# დიდი წარმატება

**ბაქო**, 25 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). აქ გრიბოედოვის სახელობის თბილისის თეატრის გასტროლები უკვე დაახლოებით ერთი თვეა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ამ ხანში ბაქოელები გაეცნენ თეატრის 14 დადგმას. ეს ძირითადად არის საბჭოთა დრამატურგების პიესები — ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორია", ს. ალიოშინის „ყველაფერი ადამიანებს რჩებათ", ა. საფრონოვის „გადამდგარი კაცი", ო. ჩიჯავაძის „თხუნელა" და სხვები.

საქართველოს მსახიობთა ხელოვნებამ ბაქოელი მაყურებლის ღრმა და გულწრფელი სიმპათია მოიხვეჭა. წარმატება ახლავს სპექტაკლებს, რომლებიც იდგმება მ. აზიზბეგოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის სცენებზე, მუშათა კლუბებში, კულტურის სასახლეებში. გრიბოედოველები იყვნენ სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშებთან, ყარადაღის მენავთობეებთან, მილმგლინავებთან და ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის სუმგაითის მშენებლებთან. 40 სპექტაკლზე მეტი, 35 ათას მაყურებელზე მეტი — ეს ციფრები მოწმობენ, თუ რა დიდი წარმატებით სარგებლობენ თეატრის სპექტაკლები.

საქართველოს მსახიობთა გამოსვლებს თანადროულად ეხმაურება ადგილობრივი პრესა. დიდად დაფასდა, მაგალითად, პიესა „თხუნელას" დადგმა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" ფურცლებზე. რეცენზია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გვიხარია, რომ გავიცანით მშვენიერი კოლექტივი, რომელსაც საკუთარი ნათელი შემოქმედებითი სახე აქვს, საკუთარი, დიდი საინტერესო ოსტატები ჰყავს".

ლაპარაკობს რა სპექტაკლ „მგზნებარე მეოცნების" დადგმაზე, გაზეთ „ვიშკის" რეცენზენტი წერს: „სპექტაკლი მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მიზანდასახულობით, მკაფიო შთანაფიქრით, პოეტური და უბადლოდ კულტურული შესრულებით".

# ბალეტის ოსტატთა ცვლა

ეს საღამო თეატრში ჩვეულებრივი არ იყო. ეს იგრძნობოდა მაყურებელთა აღელვებული სახეებითაც და იმ ფუსფუსითაც, რომელიც კულისებიდან მოისმოდა. მაგრამ აი შეწყდა ხმაური, ჩაქრა უზარმაზარი ჭაღი. გაისმა ასაფიევის პოეტური მუსიკის ხმები — ბალეტ „ბაღჩისარაის შადრევნის" III აქტის შესავალი.

მრავალი წელია იდგმება ჩვენს სცენაზე ეს ბალეტი, მაგრამ ამჟამად მაყურებელი და ჩვენც, ბალეტის მსახიობები, განსაკუთრებულად განვიცდიდით ყოველივე იმას, რაც სცენაზე ხდებოდა. ეს გასაგებიც არის. მარიამის, ზარემას, გირეისა და ნურალის როლებს, რომელთა სახეებსაც მრავალი წლის მანძილზე ქმნიდნენ საბჭოთა სცენის საუკეთესო ოსტატები, დღეს ასრულებდნენ ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები კლასის ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა მოსწავლეები.

სცენაზეა ახალგაზრდა, მოხდენილი მარიამი — გამოსაშვები კლასის მოსწავლე ირინე საეჩი. რაოდენი მიმზიდველობა და გულწრფელობაა მის ჯერ კიდევ ზოგჯერ გაუბედავ ცეკვაში, რაოდენი პოეზიაა მის სახეში. აი, სცენაზე გამოდის ზარემა — გამოსაშვები კლასის მოსწავლე ლ. მარგიაშვილი. ზარემას როლი რთულია როგორც ცეკვის, ისე განსაკუთრებით თამაშის მხრივ. ზარემას განცდების, მთელი მგზნებარებისა და ეჭვიანობის, სიამაყისა და შეშფოთების გადმოცემა რთულია მომწიფებული მსახიობისთვისაც კი, მით უმეტეს ეს ძნელია გამოსაშვები კლასის ახალგაზრდა და გამოუცდელი მოსწავლისათვის. მაგრამ მარგიაშვილში ვხედავთ მომავალი ზარემას ნიშნებს.

გირეის როლს ასრულებდა რ. ნოვაკი — გამოსაშვები ექსპერიმენტული კლასის (სამწლიანი სწავლება) მოსწავლე. ახალგაზრდა მოცეკვავე დაჯილდოებულია უეჭველი აქტიორული ნიჭით, კარგი გარეგნული მონაცემებით. მის მიერ გირეის პარტიის შესრულებას ახასიათებს კარგი გამომსახველობა და განწყობილება. მკაფიო შთაბეჭდილება დატოვა როლსა და ცეკვაში ნურალიმ — ანზორ მაჭარაძემ. მისი ნურალი კისკასი, ტემპერამენტიანია. ა. მაჭარაძემ კარგად დაძლია ტექნიკური სიძნელეები ცეკვისა, რომლის დროს თითქმის განუწყვეტლივ გაისმოდა მაყურებელთა მქუხარე ტაში. კარგად შეასრულეს თათრული ცეკვა ექსპერიმენტული კლასის მოსწავლეებმა ნ. ბირკაძემ, გ. მიქაშავიძემ და განსაკუთრებით მე-7 კლასის მოსწავლემ ვ. სვიდერსკიმ. IV აქტის ანსამბლური ცეკვები — ტყვე ქალთა ცეკვა და თათრული ცეკვა კარგად, დახვეწილად და განწყობილებით შეასრულეს გამოსაშვები კლასისა და უფროსი კლასების მოსწავლეებმა. გაგვახარა იმანაც, რომ „ბაღჩისარაის შადრევნის" III და განსაკუთრებით IV აქტების შესრულებამ კარგ პროფესიულ დონეზე ჩაიარა.

დადგმაზე და სახეების გახსნაზე დიდი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. ივაშკინმა, გამოსაშვები კლასის პედაგოგმა დამსახურებულმა არტისტმა ს. ვეკუამ და პედაგოგმა დამსახურებულმა არტისტმა ა. წერეთელმა.

საკონცერტო განყოფილება წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი პროგრამით. სახასიათო ცეკვებს — უნგრულს, ქართულს ცვლის დიდებული ადაჟიო 4 კავალრით ბალეტ „მძინარე მზეთუნახავიდან" ვ. ჭაბუკიანის დადგმით. აქ თვალსაჩინო მონაცემები და არტისტულობა გვიჩვენა გამოსაშვები კლასის მოსწავლემ ირინე სტუპინამ. კარგი პარტნიორები იყვნენ მოსწავლეები გ. მეფარეიშვილი, გ. მიქაშავიძე, გ. ბუიღლიშვილი და დ. ხეჩუაშვილი.

მკვირცხლად და მხიარულად იცეკვეს ესპანური ცეკვა პედაგოგ ნ. ვოეიკოვას მოწაფეებმა.

მეორეკლასელებს გ. კრავეიშვილსა და ი. ჯაფარიძეს უეჭველად კარგი საცეკვაო და არტისტული მონაცემები აქვთ. მათ კარგად შეასრულეს პიციკატო ბალეტ „სილვიადან" — პედაგოგ ა. წერეთლის დადგმა და ნამუშევარი.

თავისი მანერითა და ტექნიკით ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გამოსაშვები კლასის მოსწავლემ რაისა სვირინამ ვალს „კაპრიზში". კარგი საცეკვაო და გარეგნული მონაცემები აქვს მის პარტნიორს მე-7 კლასის მოსწავლეს ა. პოლოსოვს. მან დიდი ტემპერამენტით იცეკვა მურალის პარტია დღის საანგარიშო კონცერტში.

გამომსახველად იცეკვეს „პატარა გედების ცეკვა" გამოსაშვები კლასის მოსწავლეებმა გ. მუხამედგინამ, ნ. კიკვიძემ, ი. ორჯონიკიძემ და განსაკუთრებით რ. სვირინამ.

ფენიქსების ადაჟიო ბალეტ „წითელი ყაყაჩოდან" დიდი განწყობილებით შეასრულა გამოსაშვები კლასის მოსწავლემ ლ. გოგუამ.

წარმატებით იცეკვეს რთული პა-დე-დე ბალეტ „ამაო სიფრთხილიდან" გამოსაშვები კლასის მოსწავლეებმა ი. სტუპინამ და გ. ალექსიძემ. ი. სტუპინამ გვიჩვენა კარგი ტექნიკა და შესრულების მკაფიობა. შემდეგში, ვფიქრობ, სტუპინას სახით ჩვენს დასს ბალეტის საიმედო სოლისტი ეყოლება. გაგვახარა გ. ალექსიძემაც შესრულების სიმსუბუქით, მკაფიობითა და დახვეწილობით, კარგი მანერითა და ტექნიკით.

მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად და საქმის ცოდნით მუშაობენ სტუდიაში სასწავლებლის პედაგოგები: დამსახ. არტ. ბულიგინა, გ. ვიხოდცევა, დამსახურებული მსახიობები ივაშკინი, ს. ვეკუა, ა. წერეთელი, ს. სოლოღოვი, ნ. როშჩეპკინა. ისინი მოსწავლეებთან მუშაობას ახმარენ მთელ თავიანთ გამოცდილებას. ყოველდღიური შრომით ამზადებენ მომავალ მსახიობებს. ამასთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან სასწავლებლის კონცერტმეისტერები ე. გრიგორიანი, გ. თეთრაძე, ბ. რიჩკოვა და განსაკუთრებით ე. ვ. აირუმოვა.

მტკიცე ხელით ეწევა შემოქმედებითს და მეთოდურ მუშაობას სასწავლებლის დირექტორი ვ. მ. ჭაბუკიანი, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ახმარს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აყვავების, ბალეტის მსახიობთა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

ჩვენი პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის. წელს სასწავლებელმა მიიღო შესანიშნავი საჩუქარი — ახალი შენობა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ბევრად გავაუმჯობესოთ სასწავლებლის შემოქმედებითი მუშაობა.

**ი. იასინსკაია,**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სოლისტი.



სცენა დ. თორაძის ბალეტიდან „გორდა".

ფოტო ბ. დადვაძისა.

## სპორტის ამბები

# საქართველოს პირველობა ფეხბურთში

გასული კვირადღის შეხვედრები ჩემპიონატის მე-16 ტურის მატჩები იყო.

პირველ ქვეჯგუფში გაიმართა 5 თამაში. აქ მთავარ ყურადღებას იპყრობდა ლიდერების — ლანჩხუთის „გურიისა" და ტყიბულის „მეშახტის" შეხვედრები ქუთაისის „დინამოსთან" და სამტრედიის „ლოკომოტივთან". ამ შეხვედრებში გაიმარჯვეს „გურიისა" (3 : 0) და „მეშახტის" (1 : 0) გუნდებმა და შეინარჩუნეს ლიდერობა. ლანჩხუთის „გურიას" დღეისათვის 15 თამაშიდან 23 ქულა აქვს, ხოლო ტყიბულის „მეშახტეს" ამდენივე თამაშიდან—22 ქულა. მესამე ადგილზეა ქობულეთის „შუქურა", რომელმაც მე-16 ტურში დაამარცხა წულუკიძის „ფეიქარი" ანგარიშით 4 : 2 და 15 თამაშიდან 20 ქულა აქვს.

ამავე ტურში თბილისის სკა დამარცხდა (0 : 2) ცხაკაიას „განთიადთან", თელავის „სპარტაკმა" მოუგო (4 : 1) ხობის „კოლხეთს".

მეორე ქვეჯგუფში კვლავ წარმატებით იბრძვის ქუთაისის „იმერეთი". იგი ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში მონაწილე 25 კოლექტივს შორის, რომელსაც ჯერ არც ერთი დამარცხება არა აქვს. „იმერეთმა" მე-16 ტურში, რომელიც 24 ივლისს გაიმართა, კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, მოუგო მატჩი სოხუმის „დინამოს" 1 : 0 და 13 თამაშიდან 24 ქულა შეაგროვა.

ქუთაისელი ფეხბურთელები ლიდერობას ინარჩუნებენ.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (სტალინირი) — „სინათლე" (თბილისი) 2 : 0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მესხეთი" (ახალციხე) 1 : 2, „ოდიში" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1 : 1, „ისანი" (თბილისი) — „დილა" (გორი) 0 : 3.

# „მცირე ოლიმპიადა"

ლენინგრადში მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა შორის დღითიდღე საინტერესო ხდება. მძაფრი ბრძოლით ხასიათდება უკანასკნელი ტურის პარტიები. პირველობის მთავარ პრეტენდენტებად კვლავ სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები რჩებიან.

25 ივლისს გაიმართა ჩემპიონატის მეცხრე ტური. ამ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები ისვენებდნენ, ხოლო სსრ კავშირის სტუდენტთა გუნდი შეხვდა ბელგიის მოჭადრაკეებს. ბრძოლა ამ შეხვედრაში საბჭოთა გუნდის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0. ასეთივე ანგარიშით იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა დაამარცხეს შვეციის გუნდი.

ამრიგად, მეცხრე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ლიდერობა ხელიდან გამოსტაცეს ძლიერ მეტოქეს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს. სსრ კავშირის გუნდს 26 ქულა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — 25 ქულა და 1 გადადებული პარტია უარეს მდგომარეობაში.

# დიდი საერთაშორისო ტურნირის წინ

ამ დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის.

ტურნირისადმი ინტერესი განსაკუთრებით დიდია იმ მხრივაც, რომ მასში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ ტალი. გარდა ტალისა, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან გროსმაისტერები ი. ბოლესლავსკი, ე. გელერი, პ. კერესი, ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, ლ. პოლუგაევსკი, ა. ტოლუში, საერთაშორისო ოსტატი ვ. ანტოშინი.

25 ივლისს სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა.

# ამინდი

ამჟამად ცხელი დღეები დგას საქართველოში. 25 ივლისს დღისით სოხუმში და ლანჩხუთში იყო 34 გრადუსი, ცაგერში 35, ზუგდიდში, ცხაკაიაში, სამტრედიაში, ქუთაისში 36, თბილისში 33 გრადუსი. დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის ასეთი მკვეთრი აწევა გამოიწვია აღმოსავლეთის ცხელმა და მშრალმა ქარებმა. შედარებით გრილოდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე.

გუშინ დღის 1 საათზე ფოთში იყო 27 გრადუსი, ბათუმში 28, ცხაკაიაში, ზუგდიდში — 30, სამტრედიაში, ტყიბულში, გორში, თბილისში 32, გარდაბანში 34, ქუთაისში 36 გრადუსი.

ხვალ და ზეგ დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, 28 ივლისს უმეტესად უნალექოდ, 29-ში ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 20-25, დღისით 27-32 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 24-29 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოშიც — ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმა, უმეტესად დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 18-23, დღისით 28-33 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27 გრადუსი.

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

27 ივლისი

**თეატრები:** ფილარმონიის საზაფხულო — მოსკოვის ესტრადისა და მინიატიურების ანსამბლი — ექსპრესი ყოველ ვაჩერებაზე.

**კინოები:** **რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო). **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, გაზაფხული** — კარდაკარ, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — დიდი ვალსი, **ისანი** (საზაფხულო) — სიცოცხლე თუ სიკვდილი, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — ილზე, **კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი** — თავზე ხელაღებული მძღოლები, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ვაკის პარკი** — მუნდირის ძალა, **26 კომისრის რაიონის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო) — გუშჩაკი რიო დე ჟანეიროდან, **საქართველო** (საზაფხულო), **300 არაგველის ბაღი** — ეს იყო გაზაფხულზე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), — სერიოჟა, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ველოსიპედისტის სიკვდილი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — სამოთხის ჩიტუნები, **კოლმეურნე** — ვნებათა ყური, **დიდუბე** (საზაფხულო) — იხსენით ჩვენი სულები, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ოცნება ფრთებს ისხამს, **თანამგზავრი** — დიდი კარუზო, **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — დიდი ცისფერი გზა, **26 კომისრის რაიონის ახალი** (საზაფხულო) — დედა, მამა, მოსამსახურე და მე, **ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო), — სიყვარულის პაემანი.


**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-48, მუშკორ-სოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04220 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.